# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
21 თებერვალი პარასკევი 2014
№034(14 255) ფასი 80 თეთრი


## ფორტუნადან ტავრიაში?

### ყენია და კოსტოვი მეორე დუბლისთვის ემზადებიან



შესაძლოა, **ლევან ყენია** უახლოეს დღეებში ისევ უკრაინაში დაბრუნდეს. 23 წლის ნახევარმცველს ლვოვის „კარპატიში" მისი ყოფილი მწვრთნელი **ნიკოლაი კოსტოვი** იწვევს, ოღონდ, ამჯერად - სიმფეროპოლის „ტავრიაში".

„ტავრიას" გულშემატკივართა ვებგვერდი matchday.com.ua-ზე დაყრდნობით წერს, რომ „ტავრიასა" და მეორე ბუნდესლიგის ბინადარ „ფორტუნას" შორის სატრანსფერო მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. ასევე დაწყებულია რევერანსები მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორისაც...

*„როცა „კარპატის" ვწვრთნიდი, ყენია იქ საუკეთესო ფეხბურთელი იყო, თუმცა შესაძლებლობების მხოლოდ 50-60 პროცენტს ავლენდა. ორწლიანი მკურნალობის შემდეგ მისთვის სათამაშო პრაქტიკა აუცილებელი იყო, რასაც მე სიამოვნებით ვაძლევდი",* - ამბობს უკრაინელ ჟურნალისტებთან საუბარში კოსტოვი, რომელიც ახლა „ტავრიას" უდგას სათავეში და ყირიმში ყენიას ტრანსფერის ინიციატორიც სწორედ ის გახლავთ.

თავის მხრივ, ყოფილი მწვრთნელის მიმართ სიმპათიებს არ მალავს ყენიაც: *„კარპატიში შედარებით გვიან მივედი. კოსტოვი ბოლომდე მენდობოდა, რისთვისაც მას ახლაც ვემადლიერები. ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ასეთ მწვრთნელთან მუშაობა".*

ჯერჯერობით, სულ ესაა, დანარჩენიც მალე გაირკვევა...

**კობა ინასარიძე**

## ელ[illegible] მე-19

სასწაული არ მოხდა

10

# როგორც ყოველთვის... მოვიგებთ!

## დათვები თბილისში წასაგებად ჩამოვიდნენ







## ევრო 2016

საქართველოს ბედი
15 ლეგენდის ხელშია

*ნილისყრის დეტალები, კალენდარი, კალათები, ფორმატი...*

3

## სოჭი 2014

### მედლები

| ქვეყანა | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 10 | 4 | 7 | 21 |
| 2. აშშ | 8 | 6 | 11 | 25 |
| 3. გერმანია | 8 | 4 | 4 | 16 |
| 4. რუსეთი | 7 | 9 | 7 | 23 |
| 5. კანადა | 7 | 9 | 4 | 20 |
| 6. ჰოლანდია | 6 | 7 | 9 | 22 |
| 7. შვეიცარია | 6 | 3 | 2 | 11 |
| 8. ბელარუსი | 5 | 0 | 1 | 6 |
| 9. საფრანგეთი | 4 | 4 | 7 | 15 |
| 10. პოლონეთი | 4 | 0 | 0 | 4 |
| 11. ჩინეთი | 3 | 2 | 1 | 6 |
| 12. შვედეთი | 2 | 6 | 4 | 12 |
| 13. ავსტრია | 2 | 6 | 2 | 10 |
| 14. ჩეხეთი | 2 | 4 | 2 | 8 |
| 15. კორეა | 2 | 2 | 1 | 5 |
| 16. სლოვენია | 2 | 1 | 4 | 7 |
| 17. იაპონია | 1 | 4 | 3 | 8 |
| 18. ფინეთი | 1 | 3 | 0 | 4 |
| 19. ბრიტანეთი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 20. სლოვაკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 21. იტალია | 0 | 2 | 6 | 8 |
| 22. ავსტრალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 23. ლატვია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 24. ხორვატია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 25. ყაზახეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 25. უკრაინა | 0 | 0 | 1 | 1 |

*კვირას, სტამბოლში*

## შოთა კრიზისის დაძლევას რობერტო კარლოსთან აპირებს

*ინტერვიუ შოთა არველაძესთან*

4



22.02. ზესტაფონი. დ. აბაშიძე

18:00

**ზესტაფონი**

ურთიერთშეხვედრები:
16: +10 =4 -2 (40:16)

პირველ წრეში 0:1

დისკვალიფიკაცია:
ვ. ჟანტურიშვილი (ზესტაფონი)

**სპარტაკი**

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| გურია-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| დილა-ზესტაფონი | 3:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-ჩიხურა | 1:1 (სჩ) |
| ტორპედო-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| ზესტაფონი-მეტალურგი | 2:1 (სჩ) |
| სპარტაკი-დილა | 0:0 (სჩ) |
| სპარტაკი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| ტორპედო-სპარტაკი | 1:0 (სჩ) |
| სპარტაკი-დინამო | 0:4 (სჩ) |
| სიონი-სპარტაკი | 3:2 (სჩ) |

# სხვადასხვა მიზანი



სპარტაკი-ზესტაფონი პირველ წრეში. ამ შეხვედრაში გუნდებს სხვა მწვრთნელი ჰყავდათ

ეს მატჩი 2013 წლის 14 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო, თუმცა დიდთოვლობის გამო გადაიდო. რაც შეეხება ამჟამინდელი თარილის შერჩევას, ვფიქრობთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა XVII ტურის ეს გამოტოვებული შეხვედრა 22 თებერვალს დანიშნა: ჯერ ერთი, „ზესტაფონიც“ და „სპარტაკიც“ თასზე აღარ აგრძელებენ ასპარეზობას (ამ დღეს ხომ პირველი მეოთხედფინალური მატჩები უნდა ჩატარდეს), თანაც, რაც მთავარია, პირველი ეტაპის დამთავრებამდე დარჩენილი ოთხი ტურის წინ ყველა გუნდს ერთნაირი რაოდენობის მატჩები ექნება. მოკლედ, ამ გამოტოვებული მატჩის შემდეგ 12-ვე გუნდი ერთნაირ მდგომარეობაში იქნება.

..."ზესტაფონისა" და „სპარტაკის" ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიას თუ გადავხედავთ, ალმოვაჩენთ, რომ იმერულ კლუბს მეტოქესთან აშკარა უპირატესობა აქვს. ყველაზე ხშირად კი „სპარტაკის" კარში გოლები ახლო წარსულში „ზესტაფონისა" და, საერთოდ, საქართველოს ჩემპიონატის გამორჩეულ ფორვარდებს **ჯაბა დვალს** (9 გოლი) და **ნიკა გელაშვილს** (8 გოლი) გაჰქონდათ.

აი, რაც შეეხება „სპარტაკს", ცხინვალელთა გუნდმა მხოლოდ და მხოლოდ ორჯერ შეძლო „ზესტაფონის" დამარცხება და აქედან ერთი შემთხვევა ამ სეზონში მოხდა. ოღონდ, ისიც უნდა ითქვას, რომ 21 სექტემბერს ჩატარებულ იმ შეხვედრაში „ზესტაფონსაც" და „სპარტაკსაც" სხვა მწვრთნელები მოძღვრავდნენ: შესაბამისად, **რატკო დოსტანიჩი** და **ვლადიმერ ხაჩიძე**; თანაც, მართლაც დრამატული და უცნაური სცენარის მქონე მატჩი გამოდგა: „ზესტაფონი" უპირატესობას ფლობდა, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნა, მაგრამ შეხვედრის მინურულს, მსაჯის მიერ დამატებულ დროში „სპარტაკის" ნახევარმცველმა **კახა კაკაშვილმა** საკმაოდ შორი მანძილიდან ძლიერად და, რაც მთავარია, ზუსტად დაარტყა და თავის გუნდს ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოუტანა!

...ამის შემდეგ ორივე გუნდში არაერთი საკადრო ცვლილება მოხდა; თანაც, ისიც დაემთხვა, რომ დოსტანიჩსაც და ხაჩიძესაც, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე დღეს მოუწიათ თავიანთი გუნდებიდან წასვლა: ოქტომბრის ბოლოს, „ზესტაფონის" და „სპარტაკის" თასის გათამაშებიდან გამოვარდნის შემდეგ.

„ზესტაფონში" **გია გეგუჩაძე** მივიდა, „სპარტაკში" - **კახა კაჭარავა** და სამი-ოთხი წლის წინათ ამ მწვრთნელების პაექრობაში ლამის ჩემპიონობის ბედი რომ წყდებოდა, დღესდღეობით განსხვავებული სიტუაციაა: იმერული კლუბი ზედა ექვსეულში მოხვედრის კი არა, საპრიზო ადგილების მოპოვების რეალურ კანდიდატად მიგვაჩნია, „სპარტაკს" კი ბევრად უფრო მოკრძალებული მიზანი აქვს.

თუმცა, 2014 წლის პირველ ოფიციალურ შეხვედრაში, მაინც უნდა ველოდოთ დაძაბულ პაექრობას და ისიც საინტერესოა, თუ როგორ კონდიციებში შეხვდებიან გუნდები სეზონის დაწყებას.

**გია ტუხაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2016. წილისყრის წინ

# კვირას ევროპა აკროპოლისში განაწილდება

## გულიტი, ლიზარაზუ და 13 ლეგენდარული მეკარე: საქართველო შანსს მათი ხელიდან ელის

**კვირას საფრანგეთის ქალაქ ნიცის კონგრესცენტრ „აკროპოლისში" საქართველოს ნაკრებისთვის, ეგებ, ისტორიული მნიშვნელობის წილისყრა შედგეს. აქ ეროვნული გუნდები ევრო 2016-ის შესარჩევი ეტაპისთვის ჯგუფებში უნდა გადანაწილდნენ. მნიშვნელოვანიო, ვთქვით, რადგან საფრანგეთში ევროპის ჩემპიონატი უწინდელისგან განსხვავებული ფორმატით ჩატარდება - ფინალური ეტაპის მონაწილეთა რაოდენობა 24 გუნდამდე იზრდება, ხოლო საკვალიფიკაციო ციკლში 53 (სარეკორდოა) ნაკრები იბრძოლებს, მათ შორის - მასპინძელი საფრანგეთიც, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე ავტომატურად კი არის დაშვებული, მაგრამ შესარჩევ მატჩებს მაინც ჩაატარებს, ოღონდ - კონკურსგარეშე. წილისყრის ოფიციალური ცერემონია ჩვენი დროით 13 საათზე დაიწყება.**

### როგორ ჩატარდება...

შესარჩევ ეტაპზე 8 ექვსგუნდიანი და ერთიც ხუთგუნდიანი ჯგუფი შედგება. მეტოქეები ერთმანეთს ჩვეულებრივ ორჯერ, ერთმანეთში მოლაპარაკებული კალენდრის შესაბამისად შეხვდებიან. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვდებიან ჯგუფებში გამარჯვებულები და მეორეადგილოსნები, ასევე - საუკეთესო შედეგის მქონე ერთი მესამეადგილოსანი, ანუ სულ 19 გუნდი. დანარჩენი რვა მესამეადგილოსანი კი ერთმანეთში დაწყვილდება და ამათგან ოთხი იღბლიანი ფინალისტებს შეუერთდება. გამოვიდა 23? ჰოდა, დავუმატოთ ამათ მასპინძელი საფრანგეთიც და ესეც თქვენი 24-გუნდიანი ფინალური ეტაპი.

### რა არის ფეხბურთის კვირეული?

შესარჩევი ეტაპი პირველად ჩატარდება „ფეხბურთის კვირეულის" კონცეფციით. შესაბამისად, შესარჩევი ციკლის მატჩები ხუთშაბათიდან სამშაბათის ჩათვლით გაიმართება და უქმე დღეებში ჩვენი დროით 19 და 21:45 საათზე დაიწყება ხოლმე, ხოლო სამუშაო დღეებში 21:45 საათზე. პლეი-ოფის მატჩებისთვის ვადა ხუთშაბათიდან კვირის ჩათვლით გამოიყო, ხოლო საპასუხო შეხვედრები პარასკევიდან ორშაბათის ჩათვლით შედგება. ყოველ სათამაშო დღეს „ბებერ კონტინენტზე" 8-10 შესარჩევი მატჩი გაიმართება.

**I ტური:** 2014 წლის 7,8,9 სექტემბერი; **II ტური:** 9,10,11 ოქტომბერი; **III ტური:** 12, 13, 14 ოქტომბერი; **IV ტური:** 14,15, 16 ნოემბერი; **V ტური:** 2015 წლის 27, 28, 29 მარტი; **VI ტური:** 12,13,14 ივნისი; **VII ტური:** 3,4,5 სექტემბერი; **VIII ტური:** 6,7,8 სექტემბერი; **IX ტური:** 8,9,10 ოქტომბერი; **X ტური:** 11,12,13 ოქტომბერი.

პლეი-ოფის პირველი მატჩები: 2015 წლის 12,13,14 ნოემბერი; საპასუხო მატჩები: 15,16,17 ნოემბერი.



### შეზღუდვა

უეფას აღმასკომის გადაწყვეტილებით, პოლიტიკური ვითარების გამო, შესარჩევ ეტაპზე ერთმანეთს არ შეხვდებიან აზერბაიჯანი-სომხეთი და ესპანეთი-გიბრალტარი. სატელევიზიო ინტერესების გათვალისწინებით კი, ინგლისი, გერმანია, იტალია, ესპანეთი და ჰოლანდია 6-გუნდიან ჯგუფებში მოხვდებიან.

### კალათები

**I კალათი:** ესპანეთი (ჩემპიონი), გერმანია, ჰოლანდია, იტალია, ინგლისი, პორტუგალია, საბერძნეთი, რუსეთი, ბოსნია;

**II კალათი:** უკრაინა, ხორვატია, შვედეთი, დანია, შვეიცარია, ბელგია, ჩეხეთი, უნგრეთი, ირლანდია;

**III კალათი:** სერბეთი, თურქეთი, სლოვენია, ისრაელი, ნორვეგია, სლოვაკეთი, რუმინეთი, ავსტრია, პოლონეთი;

**IV კალათი:** ჩერნოგორია, სომხეთი, შოტლანდია, ფინეთი, ლატვია, უელსი, ბულგარეთი, ესტონეთი, ბელარუსი;

**V კალათი:** ისლანდია, ჩრდ. ირლანდია, ალბანეთი, ლიტვა, მოლდოვა, მაკედონია, აზერბაიჯანი, **საქართველო**, კვიპროსი;

**VI კალათი:** ლუქსემბურგი, ყაზახეთი, ლიხტენშტაინი, ფარერები, მალტა, ანდორა, სან მარინო, გიბრალტარი.

### ვინ ჩაატარებს წილისყრას?

წილისყრის პროცედურის წარმართვაში უეფას გენმდივან **ჯანი ინფანტინოს**, 13 ლეგენდარულ მეკარესთან ერთად, **რუუდ გულიტი** და **ბიქსენ ლიზარაზუ** დაეხმარებიან. მეკარეთა შორის კი **ფაბიენ ბარტეზი**, ევროპის 1976 წლის ჩემპიონი ჩეხი **ივო ვიქტორი**, 1996 წლის ჩემპიონი, გერმანელი **ანდრეას კიოპკე**, 2004 წლის ჩემპიონი, ბერძენი **ანტონის ნიკოპოლიდისი**, 1968 წლის ჩემპიონი, იტალიელი **დინო ძოფი** და დანიელი მეკარე, ევრო 92-ის გამარჯვებული **პეტერ შმაიხელი** იქნებიან.

### ფინალური ეტაპი

ევროპის პირველი ჩემპიონატი 1960 წელს ასევე საფრანგეთში გაიმართა. გამარჯვებული საბჭოთა კავშირის ნაკრები გახდა. მაშინ ფინალურ ეტაპზე სულ 4 გუნდი მონაწილეობდა. 1980 წლის ჩემპიონატზე 8 გუნდი იყო, 1996 წელს კი უეფამ მონაწილეთა რაოდენობა 16-მდე გაზარდა. ევრო 2016-ზე კი, როგორც ვთქვით, 24 გუნდი ითამაშებს.

ფორმულა მარტივია. ამ სისტემით ტარდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატები, როცა მასში 24 გუნდი მონაწილეობდა. ნაკრებები ექვს 4-გუნდიან ჯგუფში გადანაწილდებიან. მერვედფინალის საგზურს ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილზე გასული და 4 საუკეთესო 3-ადგილოსანი მოიპოვებს.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს თასი. 1/4 ფინალი. I მატჩები. წინათქმა

| 22.02. რუსთავი. ფოლადი | 22.02. ქუთაისი. ტორპედო | 22.02. ქობულეთი. ჩელე არენა | 22.02. თბილისი. მ. მესხი |
|---|---|---|---|
| 14:00 | 14:00 | 14:00 | 14:00 |
| **მეტალურგი** | **ტორპედო** | **შუქურა** | **სიონი** |
| დისკვალიფიკაცია: გ. რეხვიაშვილი (დინამო) | დისკვალიფიკაცია: გ. ტულუში (ტორპედო) | დისკვალიფიკაცია: ზ. ტულუში (შუქურა) | დისკვალიფიკაცია: რ. ქემოკლიძე, დ. ფოფხაძე (ორივე სიონი) |
| | | | LIVE პირველ არხზე |
| **დინამო (თბ)** | **დილა** | **მერანი** | **ჩიხურა** |

**ჩემპიონატის ერთი გამოტოვებული მატჩითა („ზესტაფონი"-"სპარტაკი") და ოთხი სათასო შეხვედრით 22 თებერვალს საქართველოში საფეხბურთო სეზონი ოფიციალურად განახლდება. რა თქმა უნდა, მეოთხედფინალი ისეთი სტადიაა, სადაც, სათასო სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ სიურპრიზს უნდა ველოდოთ. თუმცა, სიურპრიზი შესაძლოა ერთხელ ან ორჯერ მოხდეს, ანუ, რახან ამა თუ იმ გუნდმა მეოთხედფინალში გაალწია, ესე იგი, დაიმსახურა კიდეც ეს პატივი.**

**...ოთხი მეოთხედფინალური წყვილიდან ორი ისეთია, ფავორიტს რომ წინასწარ ვერავინ დაასახელებს; „მეტალურგი"-"დინამოს" დაპირისპირებაც დიდ ინტრიგას გვპირდება - ორივე გუნდში ხომ ამ ზამთრის პაუზის დროს ბევრი რამე თუ ვინმე შეიცვალა.**

**აი, რაც შეეხება მეოთხე წყვილს, აქ, შედარებით სუსტი გუნდები ხვდებიან ერთმანეთს, მაგრამ, კიდევ ვიმეორებთ, რომ რახან „შუქურა" და „მერანი" ამ ეტაპამდე მოვიდნენ, შემთხვევითობა უნდა გამოვრიცხოთ...**

# სათასო დასაწყისი

#### მეტალურგი-დინამო

ანშლაგი არა გვგონია, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ შაბათს რუსთავის „ფოლადის" სტადიონის ტრიბუნებზე იმაზე მეტი გულშემატკივარი მოვა, ვიდრე პირველ ეტაპზე დადიოდა! ჯერ ერთი, ბევრისთვის საინტერესო უნდა იყოს ერთიანად განახლებული „მეტალურგისა" თუ ასევე საგრძნობლად სახეშეცვლილი „დინამოს" სათასო დაპირისპირების ხილვა; თანაც, იმის მიუხედავად, რომ დღესდღეობით „დინამო" ბევრად უფრო კვალიფიციური ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და ჩემპიონატის მსგავსად, ეს გუნდი თასის მიმდინარე გათამაშების ერთ-ერთი მთავარი ფავორიტიცაა, რუსთავში ბევრს სჯერა, რომ, ფაქტობრივად, 95-პროცენტით გადახალისებული „მეტალურგი" უბრძოლველად არაფერს დათმობს.

ჰო, ამის წინა პირობას რამდენიმე (მათ შორის, მთავარი მწვრთნელის) ფაქტორიც იძლევა: **ვარლამ კილასონია** ოთხწელიწადნახევრიანი პაუზის მერე გაუძღვება მშობლიური ქალაქის გუნდს ოფიციალურ შეხვედრაში! ამას გარდა, რუსთაველ გულშემატკივარს ის ფაქტიც უნდა ახარებდეს, რომ პირველად ამ ბოლო რვა წლის (!) განმავლობაში, „მეტალურგში" ადგილობრივი ფეხბურთელები „აბსოლუტურ უმცირესობაში" აღარ იქნებიან!

...სათასო დაპირისპირებების სპეციფიკას ხშირად ვუსვამთ ხაზს და ისიც არაერთხელ გვიხსენებია, რომ ფავორიტები ხშირად ვერ ამართლებენ თავიანთ სტატუსს. თუმცა, „მეტალურგის" ახალი თავკაცისა და ასევე ახალი ფეხბურთელების მსგავსად, არანაკლები მოტივაცია ექნებათ მეტოქის მწვრთნელსა თუ მოთამაშეებსაც! ჰო, „დინამოს" მთავარ მწვრთნელს **მალხაზ ჟვანიასაც** ბევრი აქვს დასამტკიცებელი, ისე როგორც დინამოელთა ახალწვეულებს. მოკლედ, საინტერესო პაექრობის მოლოდინი გვაქვს და ვეჭვობთ, რომ ამ წყვილის გამარჯვებულის ვინაობა პირველსავე მატჩმა გამოავლინოს.

..."მეტალურგი" და „დინამო" თასზე შარშანაც შეხვდნენ და, ალბათ, ბევრს ემახსოვრება ის ნახევარფინალური დაპირისპირებები: პირველ მატჩში, რუსთავში რომ გაიმართა, **გიორგი ყიფიანის** დამოძლვრილმა გუნდმა 2:1 მოუგო გადახალისებული შემადგენლობით მოასპარეზე ფავორიტ მეტოქეს. სწორედ მაშინ იყო, „დინამოს" იმდროინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** თავისი გუნდის მარცხი... ძლიერ ქარსა და „ფოლადის" ხელოვნურ საფარს რომ დააბრალა.

თუმცა, საპასუხო შეხვედრაში ინტრიგა აღარც ყოფილა: „დინამომ" 5 (!) უპასუხო გოლი გაუტანა „მეტალურგს" და ფინალშიც გავიდა. „მეტალურგი" და „დინამო" ადრეც შეხვედრიან თასზე ერთმანეთს: 2006/07 წლების სეზონში ჯგუფურ ეტაპზე თითო-თითო მატჩი მოიგეს; თუმცა, ბევრად უფრო დასამახსოვრებელი იყო 2009 წლის 30 მაისის მატჩი, როცა საქართველოს თასის ფინალში **კახა კაჭარავას** დამოძლვრილმა „დინამომ" პენალტების სერიაში აჯობა ვარლამ კილასონიას „ოლიმპს" (იმავე „მეტალურგს"). გეხსომებათ ეს, მართლაც, დრამატული ფინალი: **გიორგი ნერგაძემ** ძირითადი დროის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გოლი რომ გაიტანა, ყველას ეგონა, რომ „დინამო" ამ უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებდა.

თუმცა, მატჩის ბოლო წუთზე, **გიორგი მეგრელაძემ** ჩინებულად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და შეხვედრაც დამატებით დროში გადაიყვანა. მაგრამ, ეს კიდევ არაფერი: პენალტების სერიაში „ოლიმპის" ფეხბურთელებმა ყველა დარტყმა... გააცუდეს და თასიც „დინამოს" დარჩა!

...1993/94 წლების სეზონში, **რევაზ ძოძუაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე იმდროინდელი „მეტალურგი" (ოღონდ, ამ შემთხვევაში, „გორდას" სამართალმემკვიდრე) თასის ფინალში გავიდა და დაძაბულ ბრძოლაში დამარცხდა **გივი ნოდიას** „დინამოსთან" (ერთადერთი გოლი **მიხეილ ყაველაშვილმა** გაიტანა).

იმ მატჩის მონაწილე ერთ-ერთი ფეხბურთელი (ვარლამ კილასონია) დღესდღეობით „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელია, ორი კი... კვლავაც აგრძელებს თავის ხანგრძლივ და მართლაც ჩინებულ კარიერას! ჰო, **ლევან კობიაშვილსა** და **ალექსანდრე იაშვილზე** მოგახსენებთ, - 16 წლის „კობი" იმ დროს „მეტალურგში" თამაშობდა, ასევე 16 წლის „იაშკა" კი - „დინამოში"...



მეტალურგი-დინამო ჩემპიონატში. მაგრამ სათასო მატჩში სხვა მეტალურგი და დინამო დაუპირისპირდებიან ერთმანეთს

ნინო გელაშვილის ფოტო

#### სიონი-ჩიხურა

არანაკლებ საინტერესო პაექრობას გვპირდება ეს წყვილიც: „სიონისა" და „ჩიხურას" ორრაუნდიან დაპირისპირებაში ძნელია რომელიმე გუნდს უპირატესობა მივანიჭოთ. უბრალოდ, საჩხერელთაგან განსხვავებით, „სიონს" ამ სათასო მატჩის მერე ერთიმეორეზე უმნიშვნელოვანესი 4 შეხვედრა ელოდება ჩემპიონატში: „ჩიხურას" ხომ, ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს ზედა ექვსეულში მოხვედრა, ბოლნისელებს კი ამისათვის სერიოზული კონკურენციის დაძლევა მოუწევთ.

თუმცა, სჯობს ისევ სათასო პაექრობაზე „გადმოვერთოთ" და, უპირველეს ყოვლისა, შარშანდელი დაპირისპირებები გავიხსენოთ: ჰო, „მეტალურგი"-"დინამოს" მსგავსად, „სიონი"-"ჩიხურას" დაპირისპირებაც შარშან სწორედ ნახევარფინალში შედგა. პირველი მატჩი საჩხერელთა გუნდის გამარჯვებით (2:0) დამთავრდა და, ბევრის აზრით, ამ წყვილში ყველაფერი დამთავრებული იყო. მით უფრო, რომ დღევანდელი სიტუაციისაგან განსხვავებით, იმდროინდელი „სიონი" საჩხერელთა გუნდს ძალიან ბევრ კომპონენტში ჩამორჩებოდა.

საპასუხო შეხვედრამ კი საპირისპირო „სურათი" გვიჩვენა: უაღრესად ნერვულ და დაძაბულ მატჩში (სირიელმა არბიტრმა **აბდულა ბასლეხლომ** ორივე გუნდის ფეხბურთელებს 9 ყვითელი ბარათი უჩვენა) „სიონს" სულ მცირედი დააკლდა მორიგი სენსაციის მოსახდენად (მანამდე ხომ ბოლნისელებმა, ყველასათვის მოულოდნელად, „ტორპედო" გამოაგდეს)! **კოკა მიკუჩაძის** გატანილი გოლით „სიონი" 1:0-ს იგებდა და ბოლოს შტურმიც მოუწყო მეტოქეს, მაგრამ „ჩიხურას" გამოცდილმა მეკარემ **გიორგი სომხიშვილმა** ჩინებული მატჩი ჩაატარა და მისი დიდი დამსახურებაც იყო, საჩხერელთა გუნდი თავის ისტორიაში პირველად რომ გავიდა თასის ფინალში.

...არანაკლებ ინტერესს იწვევს სამწვრთნელო „დუელიც": „სიონის" თავკაცს **ლადო ბურდულს** ახალ ამპლუაში მოღვაწეობის არასრული ოთხთვიანი სტაჟი აქვს და აუცილებლად აღსანიშნავი ფაქტია, რომ დებიუტანტი მწვრთნელი ოფიციალურ შეხვედრაში ჯერ არ დამარცხებულა!

აი, რაც შეეხება მის გამოცდილ კოლეგას **სოსო ფრუიძეს**, ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით „ჩიხურა" საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე გუნდად ჩამოყალიბდა და შარშან დეკემბერში საქართველოს სუპერთასზე გამარჯვებაც მისი სამწვრთნელო კარიერის ლოგიკურ შედეგად უნდა მივიჩნიოთ. ეს წყვილი აშკარად თანაბარი სიძლიერისაა და ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მიმდინარე სეზონში (ჩემპიონატს ვგულისხმობთ) „სიონისა" და „ჩიხურას" ორივე დაპირისპირება ფრედ დამთავრდა.

#### ტორპედო-დილა

დამოუკიდებელი ქართული საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი მწვრთნელი **რევაზ ძოძუაშვილი** შვიდწლიანი პაუზის მერე უბრუნდება აქტიურ ასპარეზს და 22 თებერვალს მშობლიური ქალაქის გუნდსაც დამოძლვრავს! ამ წყვილშიც ძალიან ძნელია ფავორიტის „მოძებნა": „ტორპედოშიც" და „დილაშიც" პირველ ეტაპთან შედარებით ხომ შემადგენლობა სერიოზულად შეიცვალა.

ეგ კი არა, ქუთაისელთა გუნდში, ფაქტობრივად, ყველა ფეხბურთელი ახალწვეულია და, აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, თუ რამდენად მოასწრებდა გამოცდილი რევაზ ძოძუაშვილი საკონტროლო მატჩებში გუნდის ურთიერთშეთამაშებას. თითქმის ანალოგიურ სიტუაციაშია ძოძუაშვილის ახალგაზრდა კოლეგა **რამაზ სოლოლაშვილიც** - ზამთრის პაუზის დროს „დილადან" ხომ თითქმის ყველა წამყვანი ფეხბურთელი წავიდა; თუმცა, გორელთა გუნდში ბევრი ისეთი ახალწვეულიც ირიცხება, სხვადასხვა ქართული გუნდების შემადგენლობაში საქართველოს თასზე წარმატებით რომ უასპარეზიათ.

...საქართველოს თასის ისტორიაში „ტორპედო" და „დილა" აქამდე ექვსჯერ შეხვედრიან ერთმანეთს და მცირე უპირატესობა ქუთაისელთა გუნდის მხარესაა: სამი მოგება, ერთი ფრე და ორი წაგება. თუმცა, ეს სტატისტიკა დღესდღეობით ხომ არაფერს ნიშნავს...

**გია ტუხაშვილი**

### გურია

# მხოლოდ ფრე

ლანჩხუთის „გურიამ" ჩემპიონატის განახლებისთვის მზადების დასკვნით ეტაპზე ურეკში ხობის „კოლხეთთან" ამხანაგური მატჩი გამართა. **დავით მახარაძის** შეგირდები პირველლიგელთან მხოლოდ ფრეს გამორჩნენ.

პირველი ტაიმი ხობელებმა 1:0 მოიგეს. მეორე ნახევარში კი 3 გოლი გავიდა და მატჩიც საბოლოოდ ფრედ, 2:2 დასრულდა. ლანჩხუთელთაგან თავი **ვილი ისიანმა** და **გიგა კვერენჩხილაძემ** გამოიჩინეს.

„გურიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ბობლიაშვილი, ქეიშვილი, ბერიანიძე, ნ. კილაძე, ვ. ხორგუაშვილი, ძამსაშვილი, ვ. კილაძე, კვირტია, შენგელია, პ. ხორგუაშვილი, ნიქაბაძე.** შეცვლაზე შევიდნენ: **ჩუენსუ, ინგოროყვა, ქურდაძე, მეგრელიშვილი, ტეიდი, გაჩეჩილაძე, ტ. კუკულაძე, კვერენჩხილაძე, ისიანი.**

მერაბ ვამულაშვილი

### დინამო

# მშრალი მოგება შახტართან

თურქულ ბელეკში შეკრებაზე მყოფმა „დინამოს" მეორე გუნდმა მორიგი სპარინგ-მატჩი გამართა. **უჩა სოსიაშვილის** შეგირდებმა „ამკარის" დამარცხების (6:0) შემდეგ მორიგი გამარჯვება მოიპოვეს - დონეცკის „შახტარის" დუბლშემადგენლობას 2 უპასუხო გოლი გაუტანეს. მე-12 წუთზე ანგარიში გუნდის კაპიტანმა **ბიძინა მახარობლიძემ** გახსნა. მეორე გოლი კი, დონეცკელებს 70-ე წუთზე **მიხეილ ჯიშკარიანმა** გაუტანა - 2:0.

მომდევნო სპარინგს თბილისელები 24 თებერვალს, სანკტ-პეტერბურგის „ზენიტის" დუბლშემადგენლობის წინააღმდეგ გამართავენ.

დინამო 2: **მიგინეიშვილი, გურეშიძე, ლოჩოშვილი, ბაჩიაშვილი (71. ჯაფიაშვილი), სამხარაძე, კვეკვესკირი, ფალავანდიშვილი, დიასამიძე (53. ჯიშკარიანი), მახარობლიძე (87. ნილოსანი), ლობჟანიძე (82. ვოლკოვი), ზივზივაძე (75. ერისთავი).**

www.fcdinamo.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ

**შოთა არველაძის განვრთნილმა „ქასიმფაშამ“ თურქეთის ჩემპიონატში ბოლოს 9 ნოემბერს გაიმარჯვა („გაზიანთეფთან“ 3:0) და მას მერე კრიზისშია... თუმცა კრიზისიც არის და კრიზისიც: ჩვენებურის გუნდს ჩავარდნა ნამეტანი გაუგრძელდა - უკვე 11 მატჩია არ მოუგია და ახალ წლამდე ჩემპიონობაზეც თუ აცხადებდა პრეტენზიას, ახლა ევროპალიგის საგზურის მოპოვებაც სათუო გაუხდა. რა არის კრიზისის მიზეზი? ამ კითხვით მივმართეთ შოთა არველაძეს, რომელიც ორიოდ დღით თბილისში იყო ჩამოსული...**


შოთა არველაძე

# კვირას, სტამბოლში: შოთა კრიზისის დაძლევას რობერტო კარლოსთან აპირებს

**- „ქასიმფაშას“ კრიზისი გაუგრძელდა. ახალ წელს გუნდმა ერთი თამაშიც ვერ მოიგო. რა არის ამის მიზეზი?**

- არ მეგულება გუნდი, რომელიც მთელ სეზონს ერთნაირად მაღალ დონეზე ჩაატარებს, სხვა საქმეა, რომ კრიზისი მართლაც გაჭიანურდა და ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. ერთ-ერთი მთავარი კი ფსიქოლოგიური მომენტია, „ბეშიქთაშს“ შინ ალალად რომ მოვუგეთ, იჩივლეს, მსაჯმა შეცდომები დაუშვაო. არადა, თუ ნახეთ ის თამაში, მსაჯს უსაშველო არაფერი დაუშავებია. ერთი ეპიზოდი გახდა საკამათო, როცა მეტოქის შეტევისას ჩვენმა მცველმა მოედანზე მეორე ბურთი დააგდო, თუმცა ისიც საკითხავია - ის მეორე ბურთი მოედანზე ვინ შეაგდო?! ისევ და ისევ ბეშიქთაშელებმა! ამას გარდა, ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია მისცეს, ვადა გაუვიდათ და თამაშებიც გამოტოვეს, მაგრამ ახლა გვეუბნებიან - თითომატჩიანი სასჯელი კიდევ დარჩათო. კრიზისის ასახსნელად კიდევ შეიძლება რამდენიმე მიზეზის ჩამოთვლა, მაგრამ ეს უკვე კლუბის საშინაო საქმეა.

**- ამასობაში, წამყვანი პოზიციებიდან დაქვეითდით...**

- კი, მაგრამ არც ქულებშია სხვაობა მაინცდამაინც დიდი. მეოთხეადგილოსან „სივასფორს“, რომელსაც კვირას ვმასპინძლობთ, 6 ქულით ჩამოვრჩებით და თუ მოვუგებთ, ისევ დავბრუნდებით ლიდერთა შორის.

**- მაინც როდისთვის ვარაუდობთ, რომ გუნდი კრიზისს თავს დააღწევს?**

- აქამდეც უნდა დაგვეღწია თავი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ. აი, ჩვენ რომ ქომაგების დიდი არმია გვყავდეს, როგორიც, მაგალითად, სტამბოლის სხვა კლუბებს ჰყავთ, სხვა საქმე იქნებოდა. ქომაგის ერთი შეძახილიც კი გუნდს სხვანაირად განაწყობდა, ერთი ომახიანი სიტყვაც კი სხვანაირად დამუხტავდა ფეხბურთელებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ ამ დონეზე არ ვართ. დიდ კლუბად ჩამოყალიბებას მხოლოდ ახლა ვიწყებთ.

**- „სივასფორს“ რობერტო კარლოსი წვრთნის. რას უნდა ველოდოთ ამ გუნდთან საკვირაო მატჩისგან?**

- ცხადია, ძალიან მინდა, რომ მოვიგოთ. თანაც კონკურენტს ვმასპინძლობთ, რომელიც პირველ წრეში სტუმრად დავამარცხეთ. ვნახოთ, თუ მოვიგეთ, სამომავლოდ ეს 3 ქულა ძალიან წაგვადგება.

**- წაგადგებათ იმიტომაც, რომ კონკურენტებზე უკეთესი კალენდარი გაქვთ?**

- არც მთლად ეგრეა, „გალათასარაისთან“ დაგვრჩა სათამაშო და კიდევ რამდენიმე კონკურენტთან. ჯერ მხოლოდ „ფენერბაჰჩე“ და „ბეშიქთაში“ მოვითავეთ.

**- მაინც რა არის საჭირო იმისთვის, რომ „ქასიმფაშამ“ კრიზისი დასძლიოს?**

- საკუთარი თავის რწმენა და ერთი მოგება, რომელიც, ვიმედოვნებ, „სივასფორთან“ იქნება და კრიზისიც ამით დასრულდება.

**კობა ინასარიძე**

● კოლეგები

# ფეხბურთის ფედერაციამ NUMBER ONE გამოსცა



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის საგამომცემლო საქმიანობა უცხო არ არის, თუმცა კარგა ხანს ამ მიმართულებით მუშაობა გაჩერებული იყო. ფედერაციის პირველი გამოცემა - გაზეთი „ქართული ფეხბურთი“ - გეხსომებათ, რომელიც ქომაგთა შორის პოპულარობით სარგებლობდა და თითქმის 8 წლის განმავლობაში გამოიცემოდა.

„ქართული ფეხბურთის“ გამოცემა რომ შეწყდა, ფედერაციაში **მერაბ ჟორდანიას** მმართველობის პერიოდში, იმავე სახელწოდებით, ბიულეტენი იბეჭდებოდა, რომელიც თვეში ერთხელ გამოდიოდა და მკითხველს ბევრ საინტერესო ინფორმაციას სთავაზობდა.

ჟორდანიას პრეზიდენტობას ფედერაციის საგამომცემლო საქმიანობაც გაჰყვა, თუმცა... აგერ, ახლა, ფედერაციაში ეს ხელობა გაიხსენეს და ქართულ საფეხბურთო სამყაროს ახალი ჟურნალი Number One შესთავაზეს. პრეზენტაცია, რომელსაც „ქასიმფაშას“ მწვრთნელი **შოთა არველაძეც** ესწრებოდა, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მედიაცენტრში შედგა.

*„ფეხბურთის ფედერაციის ახალი გამოცემა ერთგვარი სოციალური პროექტია. ის არ გაიყიდება და საფეხბურთო სამყაროში უფასოდ გავრცელდება“*, - თქვა Number One-ის რედაქტორმა, ჩვენმა კოლეგა **დავით თავართქილაძემ.**

ჟურნალის სახელწოდება, ცხადია, ჰაერიდან მოტანილი არ არის, ფეხბურთი ხომ სპორტის ნომერ პირველ სახეობადაა აღიარებული. წარმატებები კოლეგებს!..

**კობა ინასარიძე**

● იძულებითი პაუზა

# ახვლედიანს მოედანზე გასვლა მოენატრა

ქუთაისის „ტორპედოში“ ჩატარებული საკადრო რევოლუციის შემდეგ, ცნობილი გახდა, ვინ სად წავიდა. მოთამაშეთა დიდი ნაწილი „ზესტაფონმა“ აიყვანა, ნაწილი - თბილისის „ლოკომოტივში“ დაბრუნდა, **მათე ცინცაძე** თბილისის „დინამოშია“, **მერაბ გიგაური** - რუსთავის „მეტალურგში“ და ასე შემდეგ.


ნიკა ახვლედიანი (№10)

თითქოს, ყველა დალაგდა, დაბინავდა და კლუბში ვარჯიში დაიწყო. მაგრამ არსად ჩანდა **ვასილ მაისურაძის** 19-წლამდელთა ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **ნიკა ახვლედიანი,** რომელმაც 17-წლამდელთა ნაკრების ფორმით ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა და ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაც იყო.

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წელს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები ყაზახეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე („პრეზიდენტის თასი“), საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა, ახვლედიანი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ეს საერთაშორისო აღიარება მისთვის პირველი არ იყო - მანამდე, მარტში, თურქეთში გამართულ „კუშადასის თასის“ გათამაშებაში, საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი მოიპოვა. ნიკამ 17-წლამდელებში 8 მატჩი გამართა და 2 გოლიც გაიტანა. აქედან ერთი, უკრაინასთან შეხვედრაში, გადამწყვეტი გამოდგა, რითიც საქართველო ელიტრაუნდის ჯგუფიდან გავიდა.

შეგახსენებთ, რომ ახვლედიანი ზუგდიდის „ბაიაში“ თამაშობდა, სადაც უმაღლეს ლიგაში სადებიუტო მატჩი 2011 წელს, 16 წლისას ჰქონდა. 2012 წლის ნოემბერში კი ქუთაისის „ტორპედოში“ ჩაირიცხა და რამდენიმე დასამახსოვრებელი მატჩიც ჩაატარა. მაგრამ შარშან, 19-წლამდელთა შესარჩევ ციკლში, უელსსა და ჰოლანდიასთან, შეცვლაზე ითამაშა.

აღმოჩნდა, რომ 18 წლის ნახევარმცველს ფეხის თითი აქვს მოტეხილი და 3 თვეა, ქუთაისში მკურნალობს:

*„საშემოდგომო ეტაპზე „ზესტაფონს“ შევხვდით და ფეხის თითი მოვიტეხე. მას შემდეგ სამი თვე გავიდა და ბუნებრივია, დასვენება მომიხდა. ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი, რადგან ვერც ვვარჯიშობდი და მოსამზადებელი ეტაპიც გამიცდა. თუმცა უკლუბოდ არ დავრჩენილვარ - ვასილ მაისურაძე თბილისის „ლოკომოტივის“ მწვრთნელად რომ დაინიშნა, სხვებთან ერთად მეც მიიწვია, კლუბთან კონტრაქტი კი მაისამდე გავაფორმე. 25 თებერვალს ექიმი მეტყვის, დავიწყო თუ არა ვარჯიში. იმედია, ყველაფერი კარგად იქნება. მოედანზე გასვლა მომენატრა. ახლა ჩემი საფიქრალი ისაა, რომ ფორმა დროულად აღვიდგინო. ელიტრაუნდის შეხვედრები შვეიცარიაში 25 მაისს იწყება. მანამდე მთელი სამი თვეა და დიდი იმედი მაქვს, ფორმას აღვიდგენ და 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშს დავიმსახურებ“*, - ამბობს ახვლედიანი.

აღსანიშნავია, რომ ნიკას მამა, **ბადრი ახვლედიანიც** ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა და **იოჰან ბოსკამპის** დროს ეროვნული ნაკრების მაისურაც მოურგია.

**მერაბ მამულაშვილი**

● ვეტერანი

# 24 სეზონი დიდ ფეხბურთში!

ვფიქრობთ, აღსანიშნავი ამბავია - გუშინ ბათუმის „დინამოს“ კაპიტანი **ამირან მუჯირი** 40 წლის გახდა. 1991 წელს, 16 წლის ასაკში დაწყებულ კარიერას ის დღემდე აგრძელებს და თანაგუნდელი ახალგაზრდებისთვის სამაგალითოა ვარჯიშებზეც და ცხოვრებაშიც.

სხვაგვარად, აქამდე ვერც ითამაშებდა - სპორტს ხომ შრომა, ვარჯიში და ჯანმრთელობა სჭირდება. აღსანიშნავია, რომ 23-წლიან კარიერაში მუჯირმა 6 ქვეყნის (საქართველო, ისრაელი, ბულგარეთი, საბერძნეთი, კვიპროსი, აზერბაიჯანი) ათ კლუბში ითამაშა, 2-ჯერ კი ეროვნული ნაკრების ფორმა მოირგო - დებიუტი 1997 წლის 29 მარტს, სომხეთის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში ჰქონდა, რომელიც „ჯვაროსნებმა“ 7:0 მოიგეს.

მუჯირისთვის განსაკუთრებით წარმატებული სახელგანთქმულ ბულგარულ კლუბ სოფიის ცსკა-ში გამოსვლის პერიოდი იყო, როცა ის ამ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, 2005 წელს კი ბულგარეთის ჩემპიონის ოქროს მედალიც ხვდა წილად. თუმცა ჩემპიონის ტიტული პირველად 1999 წელს, თბილისის „დინამოს“ მაისურით მოიპოვა.


ამირან მუჯირი

40 წელს გადაცილებული ფეხბურთელებიდან საქართველოში ბევრს არ უთამაშია. მხოლოდ რამდენიმეს გახსენება შეიძლება - **მერაბ მეგრელაძე, ალკაზარ ქანთარია, მელორ ბიგვავა, ზვიად ენდელაძე**. ეს უკანასკნელი მოედნის მოთამაშეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული იყო - 2010 წელს, როცა მისი ვაჟი **ავთო ენდელაძე** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში და ზუგდიდის „ბაიაში“ იწყებდა კარიერას (2013 წელს ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს), დიდი ენდელაძე კარიერას ხარაგაულის „ჩხერიმელაში“ ამთავრებდა - მაშინ ის 44 წლის გახლდათ.

მერაბ მეგრელაძე უფრო „ახალგაზრდა“ წავიდა - ქუთაისის „ტორპედოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ ლეგენდარულმა თავდამსხმელმა ბუცები 43 წლის ასაკში ჩამოკიდა.

რეკორდსმენი კი მელორ ბიგვავაა - ის ჯერ ზუგდიდის „ოდიშში“ თამაშობდა და 3-ჯერ ეროვნული ნაკრების ფორმაც მოირგო. მერე, მთელი 14 წელი, გერმანიის ქვედა ლიგებში ითამაშა, კარიერა კი 46 წლისამ „კოლერბახში“ დაასრულა. აქვე ვიტყვით, რომ 40 წლამდე ცოტა დააკლდათ **ზურაბ იონანიძეს, ოთარ კორღალიძესა** და მეკარეებს - **რეზო ნაჭყეპიასა და გია ჭანტურიას.**

სხვათა შორის, 1991/92 წლების სეზონში საქართველოს ჩემპიონატში გატანილი 40 გოლისთვის კორღალიძეს „ოქროს ბუცზეც“ უნდა ჰქონოდა პრეტენზია, მაგრამ მაშინ ევროპაში საქართველოს ჩემპიონატს სათვალავში არ აგდებდნენ. ხოლო შემდგომი წლებიდან „ოქროს ბუცის“ ლაურეატის გამოვლენა ახალი ფორმულით დაიწყეს...

გავიხსენოთ 1992/93 წლების სეზონი, როცა მეგრელაძემ 41, ხოლო 1995/96 წლებში ზვიად ენდელაძემ 40 გოლი გაიტანა. ამ წლებში მსგავსი შედეგი ევროპის არც ერთი ქვეყნის ბომბარდირს არ ჰქონია.

სხვათა შორის, ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე განაცხადში 3 წლის წინათ მოხვდა. პირველი ლიგის ერთ-ერთი გუნდის, ამბროლაურის „რაჭას“ განაცხადში 50 წლის მეკარე **ელდარ გობორელიანი** შეიყვანეს. ცხადია, ამ შემთხვევაში მთავარი მონაწილეობა და რეკორდის გაუმჯობესება იყო...

**მერაბ მამულაშვილი**

ევროპალიგა. 1/16 ფინალი. I მატჩები

# ოქრიაშვილის დებიუტი, საიმედო კანკავა და გრიგალავა

**ანჟი (რუს)–გენკი (ბელ) 0:0**

**გაძევება:** ი. მაქსიმოვი (89. ანჟი)
**გია გრიგალავამ** (ანჟი) 90 წუთი ითამაშა

**ჩერნომორეცი (უკრ)–ლიონი (საფ) 0:0**

**თორნიკე ოქრიაშვილი** (ჩერნომორეცი) 86-ე წუთზე შევიდა

**დნიპრო (უკრ)–ტოტენჰემი (ინგ) 1:0**

**გოლი:** 1:0 კონოპლიანკა (81-პენ)
**ჯაბა კანკავამ** (დნიპრო) 90 წუთი ითამაშა

**დინამო კ. (უკრ)–ვალენსია (ესპ) 0:2**

**გოლები:** 0:1 ვარგასი (79), 0:2 ვიდა (91 ს.კ.)

**ესბიერგი (დან)–ფიორენ (იტა) 1:3**

**გოლები:** 0:1 მატრი (9), 1:1 პუშიჩი (10), 1:2 ილიჩიჩი (15), 1:3 აკვილანი (37-პენ)

**იუვენტ. (იტა)–ტრაბზონი (თურ) 2:0**

**გოლები:** 1:0 ოსვალდო (16), 2:0 პოგბა (94)

**ლიბერეცი (ჩეხ)–ალკმაარ (ჰოლ) 0:1**

**გოლი:** 0:1 ვიერგევერი (89)

**პაოკ (საბ)–ბენფიკა (პორ) 0:1**

**გოლები:** 0:1 ლიმა (59)

**აიაქსი (ჰოლ)–ზალცბურგი (ავს) 0:3**

**გოლები:** 0:1 სორიანო (14-პენ), 0:2 მანე (21), 0:3 სორიანო (35)

**ბეტისი (ესპ)–რუბინი (რუს) 1:1**

**გოლები:** 1:0 დიდაკი (3), 1:1 ერემენკო (74-პენ)
**გაძევება:** პრუდნიკოვი (28. რუბინი)
**საბა კვირკველია** (რუბინი) 95-ე წუთზე შევიდა.

**პორტუ (პორ)–აინტრახტი (გერ) 2:2**

**გოლები:** 1:0 კვარეჟმა (45), 2:0 ვარელა (68), 2:1 ხოსელუ (72), 2:2 ალექსი (77 ს.კ.)

**ლაციო (იტა)–ლუდოგორ. (ბულ) 0:1**

**გოლები:** 0:1 ბეზიაკი (45)
**დიაკოვმა** (ლუდოგორეცი) მე-9 წუთზე პენალტი ვერ გაიტანა.
**ანდერსონმა** (ლაციო) 50-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა
**გაძევება:** დიაკოვი (55. ლუდოგორეცი), კავანდა (73. ლაციო)

**მაკაბი თ. (ისრ)–ბაზელი (შვე) 0:0**

**მარიბორი (სლო)–სევილია (ესპ) 2:2**

**გოლები:** 1:0 ტავარესი (33), 1:1 გამეირო (47), 1:2 ფასიო (72), 2:2 ვრშიჩი (81)

**პლზენი (ჩეხ)–შახტარი (უკრ) 1:1**

**გოლები:** 1:0 ტედი (62), 1:1 ლ. ადრიანო (65)

**სუონსი (უელ)–ნაპოლი (იტა) 0:0**

**წუხელ ევროპალიგის პლეი ოფის პირველი ეტაპის პირველი 16 მატჩი გაიმართა. ბუნებრივია, ჩვენს ინტერესს უფრო ის შეხვედრები იწვევდნენ, რომლებშიც ქართველი ლეგიონერებს უნდა ეთამაშათ. ასეთი კი მატჩების მეოთხედი იყო.**

დავიწყოთ დნეპროპეტროვსკით - „დნიპრო“ და შესუსტებული „ტოტენჰემი“ მოედანზე შავი სამკლავურებით გავიდნენ, კიევში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების გამო. სამწუხაროდ, როგორც ჩანს „დნიპროს“ ესპანელი თავკაცი **ხუანდე რამოსი სანდრო კობახიძესა და უჩა ლობჟანიძეს** მეორე ეშელონის ფეხბურთელებად განიხილავს - ისინი მას განაცხადშიც კი არ შეუყვანია. საიმედოდ და შეუცვლელად ითამაშა **ჯაბა კანკავამ**, რომელმაც ინგლისელთა შემტევ ნახევარმცველებს ბევრი არაფერი გააბედვინა. ბუნებრივია, ამ წყვილში გამარჯვებულს მხოლოდ ლონდონური დაპირისპირება გაარკვევს.

კიდევ ერთ უკრაინულ ქალაქ ოდესაში ფრანგული „ლიონი“ ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით ჩავიდა, თუმცა „ჩერნომორეცმა“ ეს შანსი ვერ გამოიყენა - 0:0. ამ შეხვედრაში შედგა **თორნიკე ოქრიაშვილის** ოფიციალური დებიუტი „ჩერნომორეცში“, მან ბოლო 4-5 წუთი ითამაშა.

მახაჭყალის „ანჟიმ“ ბელგიურ „გენკს“ უმასპინძლა და 0:0 დაუზავდა. მასპინძელთა რიგებში 90 წუთი ითამაშა **გია გრიგალავამ**. ცენტრალური მცველის პოზიციაზე ის საიმედო იყო, მაშინაც, როცა გუნდი 10 კაცის ამარა დარჩა.

ყაზანის „რუბინი“ სევილიაში პრიმერას მაჩანჩალა „ბეტისს“ ეწვია, **საბა კვირკველია** სათადარიგო იყო. ეს მატჩი 1:1 დასრულდა, ქართველი მცველი მწვრთნელმა მე-5 დამატებულ წუთზე შეიყვანა.

სხვა მატჩებიდან, შეიძლება ითქვას, რომ „ფიორენტინამ“ უკვე გაინალდა მომდევნო ეტაპი, **მატრის, აკვილანისა** და **ილიჩიჩის** გოლებით იტალიელებმა სტუმრად აჯობეს „ესბიერგს“ - 3:1. „ვალენსიამ“ „სტუმრად“, სინამდვილეში კი ნეიტრალურ მოედანზე, კვიპროსში, 2:0 მოუგო კიევის „დინამოს“ და ალბათ გადაწყვიტა კიდევაც დაპირისპირების ბედი. მოულოდნელი იყო „ამსტერდამ არენაზე“ გამართული მატჩის შედეგი - „ზალცბურგმა“ „აიაქსი“ გაანადგურა - 3:0. ესპანელმა **ხონათან სორიანომ** დუბლი შეასრულა, თანაც ჰოლანდიელთა კარში ერთი გოლი მოედნის ცენტრიდან გაიტანა. „ლაციო“ შინ ბულგარეთის ჩემპიონ „ლუდოგორეცთან“ დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ჯაბა კანკავა (მარცხნივ) „ტოტენჰემის“ წინააღმდეგ მატჩში

## ამბები

### ნეტუს ვარიანტები

პორტუგალიელი მცველით, **ლუიშ ნეტუთი** „ნაპოლი“ და „ლივერპული“ არიან დაინტერესებულნი. სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ მზადაა, 25 წლის ფეხბურთელი გაუშვას და მის გამოყენებას **ესეკიელ გარაის** ტრანსფერშიც აპირებდა, მაგრამ „ბენფიკა“ არგენტინელში მხოლოდ ფულს ითხოვს. როგორც ამბობენ, **რაფაელ ბენიტესის** დაჟინებული მოთხოვნით, ნეაპოლეტანელებმა უკვე დაიწყეს რუსულ კლუბთან მოლაპარაკება ნეტუს ტრანსფერის თაობაზე.

### ტოჰირმა ვიდიჩი 90%-ით დაადასტურა

მილანის „ინტერის“ პრეზიდენტმა **ერიკ ტოჰირმა** ჯერ ბოლომდე არ დაადასტურა **ნემანია ვიდიჩის** ტრანსფერი, მაგრამ ისეთი განცხადება გააკეთა, რომ მართლაც ყველაფერი გადაწყვეტილი ჩანს. „ნერაძური“ სერბ მცველს, რომელიც სეზონის ბოლოს „მანჩესტერ იუნაიტედს“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვებს, ალბათ ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებს, ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

*„დეტალებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ მოლაპარაკებები კარგად მიდის და 90%-ით შეთანხმება შედგება. თუ ეს მოხდა, ოფიციალურ განცხადებასაც გავაკეთებთ“* - აღნიშნა ტოჰირმა.

### გუტიმ ბარსელონას ნაბინა

მადრიდის „რეალის“ ყოფილი ფეხბურთელი **გუტი** „სიტისა“ და „ბარსელონას“ მატჩს გამოეხმაურა და საკუთარ „ტვიტერზე“ დაწერა - ვულოცავ „ბარსელონას“ კიდევ ერთ „გაძარცვასო“. ამ გამოთქმაში გუტი იმას გულისხმობდა, რომ მისი აზრით, კატალონიელებს ისევ მსაჯი დაეხმარა. ამას „ბარსას“ გულშემატკივრების შეურაცხმყოფელი კომენტარები მოჰყვა, რომლებსაც გუტიმ ასე უპასუხა: *„მადლობა თქვენი უწყინარი კომენტარებისთვის. სასიამოვნოა, რომ ესპანეთში ყველას აქვს თავისი აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, სხვების შეურაცხყოფის გარეშე“.*

### ვიზე ნანობს

ბრემენის „ვერდერის“ ყოფილი მეკარე **ტიმ ვიზე** განიცდის, რომ თავის დროზე მადრიდის „რეალში“ არ გადავიდა. ცოტა რთული ხასიათის გოლკიპერი ახლა თავისუფალი აგენტია და ახალ კლუბს ეძებს.

*„მე მქონდა პირადული მიზეზები და მოსაზრებები, რის გამოც „რეალში“ არ გადავბარგდი. ახლა, როდესაც ამას ვიხსენებ, ვთვლი, უნდა გადავსულიყავი. თუმცა მაშინ ვერ წარმოვიდგენდი იმას, რომ ჟოზე მოურინიო იკერ კასილიასს სკამზე დასვამდა“* - თქვა 32 წლის ვიზემ.

### იანუზაიმ კოსოვო იუარა

კოსოვოს საფეხბურთო ნაკრებს დებიუტი 5 მარტს ექნება, როდესაც ამხანაგურად გაეჯიბრება ჰაიტის. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ახალგაზრდა შემტევმა **ადნან იანუზაიმ** კოსოვოს ფედერაციისგან მიწვევა მიიღო, რომელზეც უარი განაცხადა. შეგახსენებთ, რომ მისი ეროვნულ ნაკრებში ხილვა ხორვატებსა და ბელგიელებსაც სურთ. არის თეორიული შესაძლებლობა იმისაც, რომ იანუზაიმ ინგლისის ნაკრებში ითამაშოს.

*„ამჟამად ადნანი არც ერთ ქვეყანასთან არ აწარმოებს მოლაპარაკებას და მხოლოდ კლუბზეა კონცენტრირებული. ასე გადაწყვიტა თავად მან და მისმა გარემოცვამ. ნაკრების არჩევა ახლა ჩვენს დღის წესრიგში არ დგას, იგი ამისთვის ჯერ მზად არ არის“* - განაცხადა იანუზაის აგენტმა **დირკ დე ვრისემ**.

**გიორგი კაკაბაძე**

საფრანგეთი. ლიგა 1. XXVI ტურის წინ



ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორი პსჟ ტულუზში მიდის

# ეპიცენტრი ლილში

| 21 თებერვალი | |
|---|---|
| მონაკო-რეიმსი | 23:30 |
| **22 თებერვალი** | |
| მარსელი-ლორიანი | 20:00 |
| ბასტია-სტ. ეტიენი | 23:00 |
| გენგამი-ნიცა | 23:00 |
| ბორდო-ევიანი | 23:00 |
| ვალანსიენი-სოშო | 23:00 |
| მონპელიე-აიაჩო | 23:00 |
| **23 თებერვალი** | |
| ტულუზი-პსჟ | 17:00 |
| ნანტი-რენი | 20:00 |
| ლილი-ლიონი | 00:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 25 | 17 | 7 | 1 | 58-16 | 58 |
| 2. მონაკო | 25 | 15 | 8 | 2 | 41-17 | 53 |
| 3. ლილი | 25 | 13 | 6 | 6 | 28-16 | 45 |
| 4. სტ. ეტიენი | 25 | 12 | 6 | 7 | 34-23 | 42 |
| 5. მარსელი | 25 | 11 | 7 | 7 | 37-27 | 40 |
| 6. ლიონი | 25 | 11 | 7 | 7 | 40-31 | 40 |
| 7. რეიმსი | 25 | 10 | 9 | 6 | 30-29 | 39 |
| 8. ბასტია | 25 | 10 | 6 | 9 | 30-35 | 36 |
| 9. ბორდო | 24 | 9 | 7 | 8 | 29-26 | 34 |
| 10. ტულუზი | 25 | 8 | 9 | 8 | 27-32 | 33 |
| 11. ლორიანი | 24 | 9 | 5 | 10 | 32-33 | 32 |
| 12. ნანტი | 25 | 9 | 4 | 12 | 23-25 | 31 |
| 13. ნიცა | 25 | 9 | 4 | 12 | 23-30 | 31 |
| 14. მონპელიე | 25 | 5 | 14 | 6 | 31-31 | 29 |
| 15. რენი | 25 | 6 | 10 | 9 | 28-30 | 28 |
| 16. გენგამი | 25 | 6 | 8 | 11 | 23-28 | 26 |
| 17. ევიანი | 25 | 5 | 9 | 11 | 24-41 | 24 |
| 18. ვალანსიენი | 25 | 5 | 6 | 14 | 24-40 | 21 |
| 19. სოშო | 25 | 4 | 6 | 15 | 18-46 | 18 |
| 20. აიაჩო | 25 | 2 | 8 | 15 | 20-44 | 14 |

**ბომბარდირები:** 19 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 13 - ედინსონ კავანი (პსჟ), ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი); 12 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 11 - ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი); 10 - ბაფეტიმბი გომისი (ლიონი)

### გარდამტეხი მატჩი

ტურის ცენტრალური შეხვედრა ლილში იმართება, სადაც საბურთაოდ „ლიონი“ ჩადის. ეს არა მარტო ამ გუნდებისთვის, არამედ კიდევ მინიმუმ ორი კლუბისთვისაა გარდამტეხი მომენტი - „სენტ ეტიენისა“ და „მარსელისთვის“. „ლილი“ ძალიან ცუდ ფორმაშია, „ლიონი“ კი პირიქით, მაგრამ **რენე ჟირარმა** კარგად იცის, რომ წაგება მისი გუნდისთვის ნამდვილი კატასტროფა იქნება. მარცხის შემთხვევაში, თუ „სენტ ეტიენმა“ მოიგო, „ლილი“ უკვე დაკარგავს მესამე ადგილს, 2 ქულის სიახლოვეს მოუშვებს „ლიონს“ და შესაძლოა ორ ქულამდე მოიახლოოს „მარსელიც“.

რა თქმა უნდა, წაგება კატასტროფა იქნება „ლიონისთვისაც“, რომელსაც ამდენი შრომა წყალში ჩაეყრება. თუმცა **ალექსანდრ ლაკასეტი, ბაფეტიმბი გომისი, კლემან გრენიე** და სხვანი დიდებულ ფორმაში არიან.

„ლიონს“ ალბათ **იოან გურკუფი** ვერ დაეხმარება. ტრავმის გამო არ არის არც **იასინ ბენზია**, ხოლო **მილან ბიშევაცი** დისკვალიფიცირებულია. მასპინძლები კი **მარვენ მარტენსა** და **ფრანკ ბერიას** ვერ დაიხმარენ.

### პსჟ და მონაკო

ტური „ლუი მეორეზე“ გაიხსნება, სადაც „მონაკო“ გათავხედებულ „რეიმსს“ უმასპინძლებს. რეიმსელები მე-7 ადგილზე მოკალათებულან და გასავარდნ ზონას სულ რაღაც 6 ქულით ჩამორჩებიან. თუმცა წესითა და რიგით მათ ამ ტურში მდგომარეობა ვერ უნდა გაიუმჯობესონ, რადგან **კლაუდიო რანიერის** რასაკვირველია, გამარჯვება აქვს დაგეგმილი და მისი გუნდი აშკარა ფავორიტია. მონტეკარლოელებს სულაც არ ეტყობათ **რადამელ ფალკაოს** ტრავმა და კოლუმბიელი გოლეადორის გარეშეც მშვენივრად ახერხებენ ფონს გასვლას. სტუმრები ამ შეხვედრაში არაერთ მნიშვნელოვან ფეხბურთელს მოისაკლისებენ და ეს კიდევ უფრო ზრდის „მონაკოს“ შანსს. თავად მასპინძლებს ფალკაოს გარდა, სავარაუდოდ, ორი ახალწვეული - **დიმიტარ ბერბატოვი** და **აიმენ აბდენური** დააკლდებათ.

კვირადღე ლიგა ერთში „სტად მუნისიპალზე“ პსჟ-ს „ტულუზთან“ სტუმრობით დაიწყება. **ლორან ბლანის** შეგირდებმა ქვაქვაზე არ დატოვეს „ლევერკუზენისგან“ და გერმანიაში 4:0 იმარჯვეს. ასე რომ, მათ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალზე სანერვიულო აღარ აქვთ და შეუძლიათ ცოტა ხნით ლიგა ერთზე გადმოერთონ, რადგან ქულები არ დაკარგონ და ეგებ „მონაკოსთან“ კიდევ უფრო გაზარდონ უპირატესობა. სხვათა შორის, მომავალ ტურში ფრანგული ფეხბურთის კლასიკა გველის - პსჟ-“მარსელი“. იქამდე კი, დედაქალაქელებს **ალენ კაზანოვას** გუნდთან ელით რანდევუ და შეეცდებიან 3 ქულა ჩაიჯიბონ. პარიზელებს ალბათ ისევ ვერ დაეხმარება **ედინსონ კავანი**, ხოლო **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** სულ მინიმუმ ერთი გოლის გატანას ეცდება, რადგან ბარემ 20-მდე ავიდეს. აღსანიშნავია, რომ პსჟ-ს „ტულუზისთვის“ ზედიზედ 9 მატჩი აქვს მოგებული.

### ველოდრომზე

შაბათ დღეს „მარსელისა“ და „ლორიანის“ დაპირისპირება ხსნის. „ველოდრომზე“ ხალხი იმ იმედით მივა, რომ მათი საყვარელი გუნდი გამარჯვებას მოიპოვებს და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლის კარგ შანსს დაიტოვებს. მარსელელთათვის ახლა ამ შანსზე ჩაბღაუჭების იდეალური მომენტია და თუ ისევ დაკარგეს ქულები, საქმეს ერთიორად გაირთულებენ.

კიდევ უფრო რთული მატჩი ელის „სენტ ეტიენს“, რომელიც კორსიკაზე „ბასტიას“ სტუმრობს. „მწვანეებს“ გასვლაზე ქულების მოგროვება იდეალურად არ გამოსდით, ხოლო „ბასტია“ პირიქით, სახლშია ძალიან ძლიერი. ბოლო 4 ტურში „სენტ ეტიენმა“ 7 ქულა დაკარგა, არადა აქედან 3 მაინც რომ აელო, ახლა უკვე მესამე ადგილზე იქნებოდა. **კრისტოფ გალტიეს** გუნდს მონდომება ნამდვილად არ დააკლდება, მაგრამ „არმან სეზარიზე“ მოსაგებად ცოტა უფრო მეტია საჭირო. სათქმელია, რომ „მწვანეებს“ „ბასტიასთან“ ზედიზედ ორი საგარეო მატჩი აქვთ მოგებული, თანაც ორივე 0:3. კორსიკელებს მეტოქე 7 შეხვედრაა, არ დაუმარცხებიათ.

**გიორგი კაკაბაძე**

ესპანეთი. ლა ლიგა. XXV ტურის წინ

# 7 წელი მოგების გარეშე

## ბარსელონამ ანოეტაზე ბოლოს 2007 წელს იმარჯვა



შარშან „სოსიედადმა“ გმირობა ჩაიდინა და თამაში 0:2-დან შემოატრიალა

22.02. სან სებასტიანი ანოეტა **23:00**

### სოსიედადი

ბოლო 6 მატჩი

+2 =2 -2 | +3 =2 -1

ურთიერთშეხვედრები

სულ 37 თამაში: +5=9-23, (30-80)

### ბარსელონა

სავარაუდო შემადგენლობები

სოსიედადი: ბრავო; მ. გონსალესი, ი. მარტინესი; ჯ. მარტინესი, დე ლა ბელია; ბერგარა, ზურუტუზა; ველა, ქ. პრიეტო, გრიზმანი

ბარსელონა: აგირეჩე; პედრო, მესი, სანჩესი; ინიესტა, ბუსკეტსი, ფაბრეგასი; ადრიანო, დ. ალვეში; მასკერანო, პიკე; ვალდესი

დისკვალიფიკაცია: არავინ

ტრავმა: გრანერო - ჯონათან დოს სანტოსი

## 21 თებერვალი

**ვალიადოლიდი–ლევანტე 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** ჟეფრენი, ოსკარი - ელ ადუა, კარაბელასი

ბოლო 6 მატჩი

+1 =2 -3 (5-13) | +3 =3 -0 (6-3)

ურთიერთშეხვედრები

სულ 7 თამაში: +3 =2 -2 (12:8)

## 22 თებერვალი

**რეალი–ელჩე 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**ტრავმა:** ხედირა, მორატა - პელეგრინი, კარლეს ხილი, ა. ხიმენესი

ბოლო 6 მატჩი

+5 =1 -0 (16-3) | +2 =3 -1 (6-7)

ურთიერთშეხვედრები

სულ 1 თამაში: +1 =0 -0 (2:1)

**სელტა–ხეტაფე 21:00**

**დისკვალიფიკაცია:** აუგუსტო ფერნანდესი (სელტა)

**ტრავმა:** შარლესი - რაფა. ს. ესკუდერო, მოსკერა

ბოლო 6 მატჩი

+4 =1 -1 (10-5) | +0 =2 -4 (2-9)

ურთიერთშეხვედრები

სულ 7 თამაში: +3 =1 -3 (7:9)

**ალმერია–მალაგა 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** როდრი - ელიზეუ, ხესუს გამესი

ბოლო 6 მატჩი

+2 =0 -4 (4-10) | +1 =1 -4 (4-11)

ურთიერთშეხვედრები

სულ 11 თამაში: +3 =3 -5 (12:15)

## 23 თებერვალი

**ვალეკანო–სევილია 15:00**

**დისკვალიფიკაცია:** ჩერიშევი, ვიტოლო (ორივე „სევილია“)

**ტრავმა:** გალვესი, ა. პერეა, სება ფერნანდესი, ხოსე კარლოსი - მზია

ბოლო 6 მატჩი

+2 =1 -3 (7-13) | +0 =3 -3 (7-12)

ურთიერთშეხვედრები

სულ 23 თამაში: +6 =4 -13 (28:45)

**ბეტისი–ბილბაო 20:00**

**დისკვალიფიკაცია:** ამაია (ბეტისი), ადურისი (ბილბაო)

**ტრავმა:** სარა, პაულაო, ვადილიო, ხავი ტორესი - ბენიატი, ტოკერო

ბოლო 6 მატჩი

+1 =0 -5 (5-17) | +3 =2 -1 (17-7)

ურთიერთშეხვედრები

სულ 37 თამაში: +13 =14 -10 (42:38)

**ვალენსია–გრანადა 22:00**

**დისკვალიფიკაცია:** რ. კოშტა (ვალენსია), დანი ბენიტესი (გრანადა)

**ტრავმა:** ორიოლ რომეუ - მ. პერეირა, მაინსი, იგალო

ბოლო 6 მატჩი

+2 =3 -1 (11-6) | +2 =1 -3 (6-5)

ურთიერთშეხვედრები

სულ 5 თამაში: +5 =0 -0 (6:1)

**ოსასუნა–ატლეტიკო 00:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** დე ლას კუევასი, პუნიალი, სისი - მანკილიო, ტიაგო, ფილიპე ლუიში

ურთიერთშეხვედრები

სულ 29 თამაში: +11 =5 -13 (29:33)

ბოლო 6 მატჩი

+2 =2 -2 (6-9) | +3 =2 -1 (12-5)

## 24 თებერვალი

**ესპანიოლი–ვილიარეალი 01:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ

**ტრავმა:** - ხ. აკინო, ასენხო, ი. უჩე, პაბლო ინიგესი, ოლივერ ტორესი, კანი

ბოლო 6 მატჩი

+3 =1 -2 (6-6) | +3 =0 -3 (12-9)

ურთიერთშეხვედრები

სულ 27 თამაში: +4 =13 -10 (20:35)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 24 | 19 | 3 | 2 | 69-17 | 60 |
| 2. რეალი | 24 | 19 | 3 | 2 | 68-24 | 60 |
| 3. ატლეტიკო | 24 | 19 | 3 | 2 | 59-16 | 60 |
| 4. ბილბაო | 24 | 13 | 5 | 6 | 43-30 | 44 |
| 5. ვილიარეალი | 24 | 12 | 4 | 8 | 44-29 | 40 |
| 6. სოსიედადი | 24 | 11 | 7 | 6 | 43-34 | 40 |
| 7. სევილია | 24 | 8 | 8 | 8 | 42-41 | 32 |
| 8. ვალენსია | 24 | 9 | 5 | 10 | 36-35 | 32 |
| 9. ესპანიოლი | 24 | 9 | 5 | 10 | 28-30 | 32 |
| 10. ლევანტე | 24 | 8 | 8 | 8 | 23-30 | 32 |
| 11. სელტა | 24 | 8 | 5 | 11 | 31-35 | 29 |
| 12. გრანადა | 24 | 8 | 3 | 13 | 21-30 | 27 |
| 13. ელჩე | 24 | 6 | 8 | 10 | 22-34 | 26 |
| 14. ოსასუნა | 24 | 7 | 5 | 12 | 21-37 | 26 |
| 15. ხეტაფე | 24 | 7 | 4 | 13 | 22-39 | 25 |
| 16. ალმერია | 24 | 7 | 4 | 13 | 24-42 | 25 |
| 17. მალაგა | 24 | 6 | 6 | 12 | 23-34 | 24 |
| 18. ვალიადოლიდი | 24 | 4 | 9 | 11 | 26-42 | 21 |
| 19. ვალეკანო | 24 | 6 | 2 | 16 | 25-58 | 20 |
| 20. ბეტისი | 24 | 3 | 5 | 16 | 20-53 | 14 |

**ბომბარდირები:** 22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 21 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო); 15 - ალექსის სანჩესი (ბარსელონა)

**ლა ლიგის 25-ე ტური, რომელიც ტრადიციულად ოთხი დღე გაგრძელდება, დღეს, „ვალიადოლიდის“ და „ლევანტეს“ მატჩით დაიწყება, ორშაბათს კი „ესპანიოლის“ და „ვილიარეალის“ შეხვედრით დასრულდება. ტურის ყველაზე საინტერესო მატჩი კი შაბათს გაიმართება - „ანოეტაზე“ „სოსიედადი“ „ბარსელონას“ უმასპინძლებს...**

ეს გუნდები ერთმანეთს სულ ცოტა ხნის წინ, ესპანეთის თასის 1/2 ფინალში შეხვდნენ და მაშინ, ორი მატჩის ჯამში, გამარჯვება „ბარსელონამ“ მოიპოვა. კატალონიელებმა შუა კვირაში ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშეს, ბასკები კი ამ ტურნირზე უკვე აღარ მონაწილეობენ, შესაბამისად, **არასატეს** შეგირდებს ამ შეხვედრისთვის მოსამზადებლად მთელი კვირა ჰქონდათ.

„ბარსელონას“ „ანოეტაზე“ 2007 წლიდან მოყოლებული არ უმარჯვია. მაშინ, კატალონიელებმა **ანდრეს ინიესტას** და **სამუელ ეტოოს** გოლების წყალობით 2:0 მოიგეს. იქიდან მოყოლებული, „სოსიედადმა“ „ბარსას“ ჩემპიონატის სამ და თასის ერთ შეხვედრაში უმასპინძლა. ამ ოთხი მატჩიდან 2 ფრედ დასრულდა, 2-ჯერ კი ბასკებმა იმარჯვეს. გამორჩეული იყო შარშანდელი სეზონის დაპირისპირება - „ბარსელონა“ **მესის** და **პედროს** გოლებით 2:0-ს იგებდა, მაგრამ ჯერ **„ჩორი“ კასტრომ** შეასრულა დუბლი, ბოლო წუთზე კი მასპინძლებს გამარჯვება **იმანოლ აგირეჩემ** მოუტანა.

ჩემპიონატის უკანასკნელი ტური ორივე კლუბისთვის წარმატებული გამოდგა. **ხერარდო მარტინოს** გუნდმა „რაიო ვალეკანოს“ ექვსი უპასუხო გოლი გაუტანა და პირველი ადგილი შეინარჩუნა, „სოსიედადმა“ კი გასვლაზე „მალაგას“ სძლია, თანაც მისი ორი კონკურენტი („ბილბაო“ და „ვილიარეალი“) შინ დამარცხდა.

დიდი ხნის წინ ტრავმირებულ **ესტებან გრანეროს** („სოსიედადი“) და **ჯონათან დოს სანტოსს** („ბარსელონა“) თუ არ ჩავთვლით, გუნდები ამ მატჩისთვის სრული საბრძოლო შემადგენლობით ემზადებიან. მოსალოდნელია, რომ მარტინო შემადგენლობაში დააბრუნებს პედროს, რომელმაც „მანჩესტერ სიტისთან“ ტაქტიკური მოსაზრების გამო არ ითამაშა.

### ისევ რონალდოს გარეშე

„სამეფო კლუბს“ კვლავ არ ეყოლება **კრიშტიანო რონალდო**, რომელიც სამმატჩიან დისკვალიფიკაციას ამ ტურის შეხვედრის გამოტოვებით მოიხდის. „რეალის“ ხელმძღვანელები სადისციპლინო კომიტეტისთვის მიმართვას აპირებენ - მათ სურთ, რომ პორტუგალიელმა შაბათს ითამაშოს. იმის გამო, რომ კომიტეტის სხდომა დღეს საღამოს უნდა შედგეს, მის შედეგზე აქ ვერ ვისაუბრებთ, მაგრამ ესპანელ ჟურნალისტებს თუ ვენდობით, რონალდოს შენდობის შანსი მინიმალურია. ასე რომ, დიდი ალბათობით, მადრიდელთა შვიდიანი ამ ტურშიც ვერ ითამაშებს.

„რეალმა“ ლიდერის გარეშეც უპრობლემოდ უნდა მოიგოს, რადგან საკუთარ მოედანზე „ელჩეს“ ეთამაშება, ვისთანაც პირველი წრის შეხვედრაში სწორედ რონალდოს დუბლით მოიგო, თუმცა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ **კარლო ანჩელოტის** შეგირდებს საკმაოდ გაუჭირდათ და გამარჯვების მომტანი ბურთი არბიტრის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე, ამ სეზონის ალბათ ყველაზე აბსურდული პენალტის წყალობით გაიტანეს. შეგახსენებთ, რომ შეხვედრის უკანასკნელ წამებზე **პეპემ** ვალენსიელთა კოლუმბიელი ნახევარმცველი **კარლოს სანჩესი** ძიუდოს ილეთით ძირს დააგდო, არბიტრმა კი რატომღაც კოლუმბიელი დაადანაშაულა და 11-მეტრიანი დანიშნა.

ამჯერად, „რეალს“ ასე არ უნდა გაუჭირდეს. მადრიდელები შესანიშნავ ფორმაში არიან და მეტოქეს მეტოქეზე ამარცხებენ. 2014 წელს „სამეფო კლუბმა“ ჩემპიონატში 7 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 6 მოიგო, ქულები კი მხოლოდ „სან მამეს ბარიაზე“ დაკარგა (1:1).

რთული მატჩი ელის მესამე ლიდერ „ატლეტიკოს“, რომელიც „მილანთან“ მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ პამპლონას ეწვევა, სადაც ამ სეზონში ვერც „ბარსელონამ“ მოიგო (0:0) და ვერც „რეალმა“ (2:2).

არგენტინა. ტორნეო ფინალი. III ტური

# სტუდენტები კვლავ პირველზე არიან

**ოლიმპო–არსენალი 0:2**

**გოლები:** 0:1 ფურჩი (44), 0:2 კარერა (88)

**ველესი–ოლ ბოისი 3:0**

**გოლები:** 1:0 მ. სარატე (29), 2:0 ხ. კორეა (49), 3:0 რ. კასერესი (73)

**რასინგი–ტიგრე 0:1**

**გოლი:** 0:1 კანუტო (9)

**გაძევება:** ფ. ორტისი (90. რასინგი)

**კილმესი–კოლონი 0:2**

**გოლები:** 0:1 გრაციანი (21), 0:2 ლანდა (24)

**არ. ხუნიორსი–სან ლორენსო 0:2**

**გოლები:** 0:1 რომანიოლი (43), 0:2 მატოსი (78)

**ესტუდიანტესი–ლანუსი 2:1**

**გოლები:** 1:0 კარილიო (9), 1:1 ს. სილვა (45), 2:1 კარილიო (63-პენ)

**გაძევება:** ხ. სილვა (30. ესტუდიანტესი)

**რივერი–გოდოი კრუსი 1:2**

**გოლები:** 1:0 კავენაგი (10), 1:1 გრიმი (16), 1:2 ხ. როდრიგესი (90)

**გაძევება:** ე. ალვარეს ბალანტა (68. რივერ პლეიტი)

**ბელგრანო–ნიუელსი 1:1**

**გოლები:** 0:1 როდრიგესი (62 პენ), 1:1 ჰაინცე (69-საკ კარში).

**როსარიო-ხიმნასია** გვ. დასრულდა

**ატლ. რაფაელა-ბოკა** გვ. დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესტუდიანტესი | 3 | 3 | 0 | 0 | 4-1 | 9 |
| 2. ველესი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-1 | 7 |
| 3. გოდოი კრუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-3 | 6 |
| 4. სან ლორენსო | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 5. კოლონი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-3 | 6 |
| 6. ტიგრე | 3 | 1 | 2 | 0 | 1-0 | 5 |
| 7. ატლ. რაფაელა | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 8. ბელგრანო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-4 | 4 |
| 9. როსარიო | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 10. რივერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11. ოლიმპო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 12. ხიმნასია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 13. რასინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-2 | 3 |
| 14. არსენალი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 3 |
| 15. არ. ხუნიორსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 16. ბოკა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 17. ნიუელსი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-3 | 1 |
| 18. ლანუსი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-7 | 1 |
| 19. ოლ ბოისი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 20. კილმესი | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 - გვიდო კარილიო (ესტუდიანტესი), მაურო სარატე (ველეს სარსფილდი); 2 - ხორხე კორეა (ველეს სარსფილდი), გაბრიელ გრაციანი (კოლონი), დიეგო ვერა (ატლეტიკო რაფაელა), ლუსიანო ლოლო (ბელგრანო)

**ზედიზედ** მესამე გამარჯვება მოიპოვა „ესტუდიანტესმა“ და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. **მაურისიო პელეგრინოს** შეგირდებმა ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტი „ლანუსი“ დაამარცხეს, არადა 30-ე წუთიდან მოყოლებული მასპინძლები მოედანზე კაცნაკლულნი იყვნენ. შეხვედრის გმირი **გვიდო კარილიო** გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა. აღსანიშნავია, რომ „ლანუსს“ „სტუდენტებთან“ სტუმრად 2001 წლის შემდეგ არ მოუგია. საერთოდ, იქიდან მოყოლებული გუნდებმა ერთმანეთში 29 შეხვედრა გამართეს, რომელთაგანაც 12 მატჩი „ესტუდიანტესმა“ მოიგო, 13 კი ფრედ დასრულდა. „სიუდად ლა პლატაზე“ ჩატარებული ბოლო 14 თამაშიდან კი მასპინძლებმა 9-ში იმარჯვეს, 5 შემთხვევაში კი ფრე დაფიქსირდა.

ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო ჩემპიონმა „სან ლორენსომ“, რომელმაც **ლეანდრო რომანიოლის** და **მაურო მატოსის** გოლებით „არგენტინოს ხუნიორსს“ სძლია. წინა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა მატოსმა ახალ კლუბში თავისი პირველი გოლი გაიტანა.

კარგ ფორმაშია „ველესი“ და მისი ერთ-ერთი ლიდერი **მაურო სარატე. ხოსე ფლორესის** შეგირდებმა „ოლ ბოისს“ 3:0 მოუგეს, „ლაციოს“ და „ინტერის“ ყოფილმა ფორვარდმა კი გოლის გარდა, თავი საგოლე პასითაც გამოიჩინა.

„რივერში“ დაბრუნების შემდეგ პირველად იხეირა **ფერნანდო კავენაგიმ**, მაგრამ 10 კაცით დარჩენილმა „ლოს მილიონარიოსმა“ მაინც წააგო. შეხვედრის ანტიგმირი **ედერ ალვარეს ბალანტა** გახდა, რომელმაც მეორე ტაიმში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და გუნდი დაალალატა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



ხუან ვერონის „ესტუდიანტესმა“ გვიდო კარილიოს დუბლით მოიგო

ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. II ტური

**III ჯგუფი**

**ოჰიგინსი-დეპ. კალი 1:0**

გოლი: 1:0 ოპასო (83)

**V ჯგუფი**

**დეფენსორი-რეალ გარსილასო 4:1**

გოლები: 0:1 რამუა (21), 1:1 ნ. კორეა (36), 2:1 ფელიპე კონსეისაო (46), 3:1 ოლივერა (70), 4:1 ოლივერა (86)

**VII ჯგუფი**

**ბოლივარი-ლეონი 1:1**

გოლები: 0:1 ბოსელი (3), 1:1 კალეხონი (67)

COPA BRIDGESTONE LIBERTADORES

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იტალია. სერია A. XXV ტურის წინ

23.02. ტურინი
იუვენტუს არენა
21:30

**იუვენტუსი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=2-0 | +3=2-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 19 თამაში: +12=5-2, (37-16)

**ტორინო**

სავარაუდო შემადგენლობები




დისკვალიფიკაცია: [illegible] (ტორინო).
ტრავმა: პეპე, ვუჩინიჩი - გაცი, ბარეტო

# დერბი, რომელსაც ფავორიტი ჰყავს

## ტურინული ჯახი ფოკუსში

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-2-2 | 1-0-5 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 33 თამაში: +16=13-4, (60-37)

### 22 თებერვალი

**ბოლონია-რომა 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** პერესი (ბოლონია).
**ტრავმა:** დელა როკა - დოდო, ბალცარეტი, ტოტი, მაიკონი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 1-3-2 | 4-1-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 30 თამაში: +6=8-16, (32-57)

### 23 თებერვალი

**ლივორნო-ვერონა 15.30**

**დისკვალიფიკაცია:** ჩეკერინი, ბენასი - ალფრედსონი.
**ტრავმა:** სილიგარდი, ლუჩი - მაიეტა.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 1-1-4 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 9 თამაში: +2=3-4, (8-10)

**უდინეზე-ატალანტა 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** ერტო, პერეირა (უდინეზე).
**ტრავმა:** გაბრიელ სილვა, ბუბნიჩი - სკალონი, ბელინი, ბრიენცა.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-1-3 | 3-0-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 33 თამაში: +13=10-10, (39-33)

**ინტერი-კალიარი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** კონტი (კალიარი).
**ტრავმა:** ალვარესი - აველარი, პიზანო, იბრაიმი, ასტორი.

**კიევო-კატანია 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** პარედესი, კალელო, დაინელი - ლეტო, ბარიენტოსი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 0-2-4 | 1-3-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 14 თამაში: +5=4-5, (15-17)

**სამპდორია-მილანი 18.00**

**დისკვალიფიკაცია:** გასტალდელო, დე სილვესტრი (სამპდორია).
**ტრავმა:** მაქსი ლოპესი, კოსტა - ელ შაარავი, კრისტანტე, ბირსა, რობინიო, სილვესტრი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-1-2 | 3-1-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 33 თამაში: +9=6-18, (30-55)

**ლაციო-სასუოლო 23.45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ალფარო, პოსტიგა, ედერსონი - ტერანოვა, ბიონდინი, ალექსე, აჩერბი, მაზუჩი, მანიანელი, მანფრედინი.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 2-3-1 | 1-0-5 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 1 თამაში: +1=1-1, (2-2)

### 24 თებერვალი

**პარმა-ფიორენტინა 22.00**

**დისკვალიფიკაცია:** ასკუა (პარმა).
**ტრავმა:** ფელიპე, ობი - ჰეგაზი, როსი, რებიჩი, ვარგასი, გონსალო.

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 5-1-0 | 2-2-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 36 თამაში: +10=10-16, (41-53)

**ნაპოლი-ჯენოა 00.00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ.
**ტრავმა:** ცუნიგა, მესტო, რეინა - გამბერინი, დონარუმა, კუჩკა, ვრსალკო..

| ბოლო 6 შეხვედრა | |
|---|---|
| 3-2-1 | 2-2-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 29 თამაში: +11=10-8, (42-36)


„იუვე“-„ტორინო“



| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 24 | 20 | 3 | 1 | 59-19 | 63 |
| 2. რომა | 23 | 16 | 6 | 1 | 48-11 | 54 |
| 3. ნაპოლი | 24 | 15 | 5 | 4 | 49-27 | 50 |
| 4. ფიორენტინა | 24 | 13 | 5 | 6 | 43-25 | 44 |
| 5. ინტერი | 24 | 10 | 9 | 5 | 42-28 | 39 |
| 6. პარმა | 23 | 9 | 9 | 5 | 36-27 | 36 |
| 7. ტორინო | 24 | 9 | 9 | 6 | 39-31 | 36 |
| 8. ვერონა | 24 | 11 | 3 | 10 | 40-40 | 36 |
| 9. მილანი | 24 | 8 | 8 | 8 | 37-35 | 32 |
| 10. ლაციო | 24 | 8 | 8 | 8 | 30-32 | 32 |
| 11. ჯენოა | 24 | 8 | 7 | 9 | 27-31 | 31 |
| 12. სამპდორია | 24 | 7 | 7 | 10 | 27-35 | 28 |
| 13. უდინეზე | 24 | 8 | 3 | 13 | 28-35 | 27 |
| 14. ატალანტა | 24 | 8 | 3 | 13 | 24-36 | 27 |
| 15. კალიარი | 24 | 5 | 9 | 10 | 22-34 | 24 |
| 16. ბოლონია | 24 | 4 | 9 | 11 | 22-40 | 21 |
| 17. ლივორნო | 24 | 5 | 5 | 13 | 24-42 | 20 |
| 18. კატანია | 24 | 4 | 7 | 13 | 19-41 | 19 |
| 19. კიევო | 24 | 4 | 6 | 14 | 17-35 | 18 |
| 20. სასუოლო | 24 | 4 | 5 | 15 | 23-51 | 17 |

**ბომბარდირები:** 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა); 13 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი), ჩირო იმობილე (ტორინო); 12 - დომენიკო ბერარდი (სასუოლო), გონსალო იგუაინი (ნაპოლი).

**25-ე ტურის ცენტრალური მატჩი ტურინში გაიმართება, სადაც „იუვენტუსი“ „ტორინოს“ უმასპინძლებს. ტრადიციულად, პიემონტურ გარჩევას თავისი ფავორიტი ჰყავს, მაგრამ ამით თამაშის მიმართ ინტერესი არ ნელდება...**

### ტურინული გარჩევა

ხშირად ამბობენ, რომ დერბის ფავორიტი არ ჰყავს და თანაქალაქელთა დაპირისპირებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს... ტურინის შემთხვევაში მთლად ასე არ არის, რადგან „იუვენტუსი“ „ტორინოსთან“ პაექრობაში სწორედაც რომ ფავორიტია და ბოლო წლებში, სტატუსს ამართლებს კიდეც. „გრანატას“ გულშემატკივრებს ოცნებად აქვთ ქცეული „ვეკია სენიორას“ დამარცხება და მათი შანსები ამჯერადაც არცთუ ძვირად ფასობს. მართალია, „ტორინო“ კარგად ასპარეზობს და მაღალი ადგილებისთვის იბრძვის, მაგრამ „იუვე“ მაინც „იუვეა“, თანაც საკუთარ კედლებში...

ორივე გუნდი 3-5-2 ტაქტიკას აირჩევს და მთავარი ბრძოლაც ალბათ ცენტრში გაჩაღდება. „გაძეტა დელო სპორტის“ ვარაუდით, **ანტონიო კონტე** ამჯერად **პოლ პოგბას** დაასვენებს, **ანდრეა პირლოს** და **არტურო ვიდალს** კი მოედნის შუაგულში **კლაუდიო მარკიზიო** დაემატება. შეტევაში **კარლოს ტევესს** და **ფერნანდო ლორენტეს** ვიხილავთ - ამჯერად, კონტე ექსპერიმენტებს მოერიდება და **სება ჯოვინკოს, ფაბიო კვალიარელას**, თუ **პაბლო ოსვალდოს** თადარიგში დატოვებს. „ტორინოს“ შეტევა განსაკუთრებულად სახიფათოა - **ალესიო ჩერჩის** და **ჩირო იმობილეს** ერთად 23 გოლი აქვთ გატანილი და ბომბარდირთა დავაში არიან ჩართულნი. მოკლედ, „იუვეს“ დაცვას ჯაფა აუცილებლად დაადგება.

### მდევრები

„რომა“ „ბოლონიას“ ესტუმრება, „ნაპოლი“ კი „ჯენოას“ მიიღებს. დედაქალაქელებს ჯერ კიდევ სჯერათ სკუდეტოს მოპოვების და ბუნებრივია, მათი ერთადერთი მიზანი მორიგი სამი ქულის მოპოვებაა. ერთმა მარცხმა, ან თუნდაც ფრემ, შეიძლება „ჯალოროსის“ სკუდეტოსადმი რწმენა საბოლოოდ შეარყიოს, რაც კარგად ესმის **რუდი გარსიას**. „რომას“ თავკაცის თქმით, ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაში შედის და თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. რუდის არაერთი ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული, მათ შორის ფრანჩესკო ტოტი - „გაძეტას“ მტკიცებით, „ჯალოროსი“ იმავე ტრიოთი შეუტევს, რომელმაც „სამპდორიას“ გამოუყვანა წირვა: **ჟერვინიო, ალესანდრო ფლორენცი, მატია დესტრო.**

„ნაპოლი“ „ჯენოას“ უმასპინძლებს და წესით, კარგი, გახსნილი თამაში უნდა გაჩაღდეს. გენუელთა მთავარი მწვრთნელი **ჯამპიერო გასპერინი** 3-4-3 ტაქტიკას ეყრდნობა და რისკიან ფეხბურთს ანიჭებს უპირატესობას, „ნაპოლი“ კი საკუთარ კედლებში მეორე ნომრად თამაშს არ დაჰყაბულდება... მოკლედ, **გონსალო იგუაინი** და კომპანია შეუტევენ, მაგრამ არც **ალბერტო ჯილარდინო** აპირებს უქმად ყოფნას...

კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მატჩი „ენიო ტარდიზე“ შედგება, სადაც ალმავლობის გზაზე მდგარი „პარმა“ „ფიორენტინას“ უმასპინძლებს. „ვიოლა“ „ინტერთან“ დამარცხდა, სამეულს ჩამორჩა და ვითარების გამოსწორებას შეეცდება, მაგრამ ემილიაში მოგება რომ იოლი არ იქნება, ცხადზე უცხადესია.

● ჩემპიონთა ლიგა. მილანი

# მილანური ოპტიმიზმი

პირველ ტაიმში „მილანმა“ დაჯაბნა „ატლეტიკო“ და მართალია, გოლი არ გაუტანია, მთლიანობაში უკეთესი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. ეს იყო „როსონერის“ საუკეთესო ტაიმი მას შემდეგ, რაც გუნდს **კლარენს ზეედორფი** ჩაუდგა სათავეში და ეს ტაიმი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ იტალიურ საფეხბურთო სამყაროს ლომბარდიული გრანდი კრიტიკის ქარცეცხლში არ გაეტარებინა. პირიქით, მიუხედავად საკუთარ კედლებში განცდილი მარცხისა, „მილანი“ არავინ ჩამოწერა და ბევრი იმასაც ამბობს, რომ ზეს შეგირდებს გასვლაზე წარმატების მიღწევის საკმაოდ კარგი შანსი აქვთ. დიახ, ასეთია რეალობა და ამ ოპტიმიზმს თავად მწვრთნელ-ფეხბურთელებიც იზიარებენ...

**კლარენს ზეედორფი:** „ვამაყობ ჩემი შეგირდებით, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს დადებითი შედეგის მისაღწევად. სამწუხაროდ, დავმარცხდით, მაგრამ დუელი ორი რაუნდისგან შედგება და წინ გადამწყვეტი მატჩი გველოდება. ვფიქრობ, გულშემატკივრებს აქვთ საბაბი განმეორებით შეხვედრას ოპტიმისტურად დაელოდონ. დასანანია, რომ ბოლო 15 წუთში შედარებით დავაგდეთ ტემპი და ამან დათვური სამსახური გაგვიწია. მომენტებსაც მეტად უნდა გავუფრთხილდეთ, ორი-სამი გოლის გატანა მაინც შეგვეძლო და ამ დროს, მეტოქემ ერთი შანსი გამოიყენა. ვეცდებით, შეცდომები მადრიდში გამოვასწოროთ, რადგან ჩვენ ბოლომდე ვაპირებთ ბრძოლას“.

**ადელ ტაარაბტი:** „ამ მარცხისგან ტრაგედიის შექმნა არ ღირს, რადგან წინ მეორე თამაშია და მთელი 90 წუთი გვექნება იმისთვის, რომ დუელი საჩვენოდ შემოვატრიალოთ. ვფიქრობ, გვაქვს იმის საფუძველი, რომ არ დავნებდეთ და განმეორებით შეხვედრას ოპტიმიზმით დაველოდოთ. აშკარად ვჯობდით მეტოქეს და წესით, თამაში ჩვენი გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. „ატლეტიკო“ ძლიერი გუნდია, ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია და დღეს გამოჩნდა, რომ არც „მილანია“ ისეთი სუსტი, როგორც ეს ბევრს ჰგონია“.

**ანდრეა პოლი:** „მეტი დავიმსახურეთ და ის შედეგი, რაც ტაბლოზეა, არ ასახავს რეალობას. გულშემატკივრებმა უნდა იამაყონ ჩვენით, რადგან მთლიანობაში, კარგი შეხვედრა ჩავატარეთ. წინ მეორე მატჩია, რომელიც გაარკვევს კიდეც გამარჯვებულის ვინაობას. ჩვენ შევუტევთ და ვეცდებით მადრიდში გავაკეთოთ ის, რაც მილანში ვერ მოვახერხეთ“.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**


„მილანი“ დამარცხდა, მაგრამ წინ მეორე მატჩია

europe-bet.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პრემიერლიგა. XXVI ტურის წინ

# ორი სამხრეთელი სტემფორდ ბრიჯზე

22.02. ლონდონი სტემფორდ ბრიჯი 16:45

## ჩელსი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=2-0 | +2=2-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 157 თამაში: +58=49-50 (242-231)

## ევერტონი

სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი; კეჰილი, დ. ლუისი, ივანოვიჩი, ასპილიკუეტა; მატიჩი, ლამპარდი; აზარი, ოსკარი, ვილიანი; ეტოო

**ევერტონი:** ტრაორე; პიენაარი, ბერკლი, მირალიაში; მაკარტი, ბერი; ბეინსი, კოულმენი; ჯაგიელკა, დისტენი; ჰოვარდი

დისკვალიფიკაცია: არავინ
ტრავმა: ვან გინკელი, ტერი - გიბსონი, ოვიედო, კონე, ლუკაკუ, ალკარასი



I წრეში „ევერტონმა“ „ჩელსი“ დაამწუხრა

პრემიერლიგის არასრულ XXVI ტურს ასოციაციის თასის შეხვედრების გამო ათდღიანი პაუზა მოჰყვა. ბუნებრივია, რომ უქმეებზე გასამართ შეხვედრებს გულშემატკივარი განსაკუთრებულად ელოდება. „ჩელსის“ გრძელი სათადარიგოთა სკამი საშუალებას აძლევს, რომ როტაციას ხშირად მიმართოს, თუმცა მაინც გვგონია, რომ **ჟოზე მოურინიო** „ევერტონს“ საუკეთესო შემადგენლობას დაუპირისპირებს. ამას ლოგიკური ახსნა აქვს. დედაქალაქელ „ლურჯებს“ (მის ხვალინდელ მეტოქესაც ეს მეტსახელი აქვს) მთელი კვირაა, არ უთამაშიათ. ჩემპიონთა ლიგის პლეიოფამდე კი გუნდმა კონდიციები უნდა აკრიფოს. „გალათასარაიმდე“ კი „ჩელსის“ დასასვენებლად დრო კიდევ ექნება. თანაც ჟოზე მოურინიოს შური აქვს საძიებელი. **რობერტო მარტინესის** გუნდი მიმდინარე სეზონში პირველი იყო, ვინც „ჩელსის“ დამარცხება შეძლო.

„ევერტონს“ ესმის, რომ „სტემფორდ ბრიჯზე“ მან აუტსაიდერის რანგში უნდა ითამაშოს. მისთვის ეს სერიოზული შელავათია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. იმ არენაზე ნაგებისთვის, სადაც „განსაკუთრებული კაცი“ „ჩელსის“ თავკაცის რანგში ცოცხალი თავით არ აგებს (შიდა ასპარეზზე მაინც) მას არავინ გაკიცხავს. პირიქით, მისი გამარჯვება სენსაციად თუ არა მოულოდნელობად ნამდვილად აღიქმება. რა სტატუსითაც უნდა სარგებლობდეს „ევერტონი“, მისგან მაინც ყველაფერი მოსალოდნელია. სტუმარს უკვე დიდი ხანია, სტუმრად თამაში აღარ მოუგია. ბოლოს ეს გასული წლის 22 დეკემბერს „სუონსისთან“ მოხდა. მას მერე გუნდს 4 თამაშში 2-2 ფრე და ნაგება აქვს. უკანასკნელი შეხვედრა მერსისაიდელებმა სწორედ ლონდონში დათმეს „ტოტენჰემთან“ მინიმალური სხვაობით.

რაც შეეხება ურთიერთშეხვედრებს. სიმართლე რომ ითქვას, სტუმარს არც სტატისტიკა უნდა განაწყობდეს ოპტიმისტურად. უკანასკნელად „ევერტონმა“ „სტემფორდ ბრიჯზე“ ძირითად დროში 1994 წლის 26 ნოემბერს იმარჯვა. წარმატებულ თამაშებს უნდა მივაკუთვნოთ 2010/11 წლების სეზონის დაპირისპირებაც, როცა **დევიდ მოიესის** გუნდმა ასოციაციის თასის მე-4 ეტაპზე 1:1-ის შემდეგ პენალტების სერიაში 4:3 მოიგო.

## 22 თებერვალი

### არსენალი-სანდერლენდი 19:00

**დისკვალიფიკაცია:** - ბრაუნი
**ტრავმა:** ვერმალენი, უოლკოტი, რემსი, დიაბი, კალსტრიომი - ს. ფლეტჩერი, ვესტვუდი, კუელიარი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=2-1 | +3=1-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 135 თამაში: +52=38-45 (212-188)

### კარდიფი-ჰალი 19:00

**დისკვალიფიკაცია:** ბელამი -
**ტრავმა:** ჰადსონი, მედელი, მატჩი - როსენიორი, ჩესტერი, ბრეიდი, მაკშეინი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +1=1-4 | +1=1-4 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 25 თამაში: +10=5-10 (29-35)

### სიტი-სტოკი 19:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** აგუერო, ნასტასიჩი - პუთი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=1-1 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 83 თამაში: +33=23-27 (107-96)

### ბრომვიჩი-ფულჰემი 19:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ოლსონი, ჯონსი, სესინიონი, ანელკა - სტეკელენბურგი, ბრიგსი, ამორებიეტა

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +0=3-3 | +0=1-5 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 44 თამაში: +17=11-16 (63-63)

### ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი 19:00

**დისკვალიფიკაცია:** კეროლი
**ტრავმა:** ვას ტე, ობრაიენი - ლოვრენი, რამირესი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=1-1 | +3=3-0 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 59 თამაში: +19=19-21 (76-80)

### პალასი-იუნაიტედი 21:30

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** - ჯონსი, ევანსი, ნანი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=1-2 | +2=2-2 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 29 თამაში: +6=6-17 (27-52)

## 23 თებერვალი

### ლივერპული-სუონსი 17:30

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჯონსონი, ენრიკე, კოატესი, სახო, ლეივა - შელვი, მიჩუ

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +4=2-0 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +3=4-3 (16-10)

### ნიუკასლი-ასტონ ვილა 17:30

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** კოლოჩინი, რ. ტეილორი, ტიოტე, ობერტანი - ოკორე, ჰერდი, კოზაკი, ნზოგბია

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +1=1-4 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 139 თამაში: +62=30-47 (225-213)

### ნორვიჩი-ტოტენჰემი 20:00

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ტერნერი, ჰაუსონი, გუტიერესი, ე. ბენეტი, რ. ბენეტი - კირიკეში, ლამელა, სიგურდსონი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +1=2-3 | +4=1-1 |

ურთიერთშეხვედრები
სულ 46 თამაში: +13=14-19 (54-72)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 26 | 17 | 6 | 3 | 48-21 | 57 |
| 2. არსენალი | 26 | 17 | 5 | 4 | 48-26 | 56 |
| 3. სიტი | 25 | 17 | 3 | 5 | 68-27 | 54 |
| 4. ლივერპული | 26 | 16 | 5 | 5 | 66-32 | 53 |
| 5. ტოტენჰემი | 26 | 15 | 5 | 6 | 36-32 | 50 |
| 6. ევერტონი | 25 | 12 | 9 | 4 | 37-26 | 45 |
| 7. იუნაიტედი | 26 | 12 | 6 | 8 | 41-31 | 42 |
| 8. საუთჰემპტონი | 26 | 10 | 9 | 7 | 37-29 | 39 |
| 9. ნიუკასლი | 26 | 11 | 4 | 11 | 32-38 | 37 |
| 10. სუონსი | 26 | 7 | 7 | 12 | 33-36 | 28 |
| 11. ვესტ ჰემი | 26 | 7 | 7 | 12 | 28-33 | 28 |
| 12. ასტონ ვილა | 26 | 7 | 7 | 12 | 27-36 | 28 |
| 13. ჰალი | 26 | 7 | 6 | 13 | 25-31 | 27 |
| 14. სტოკი | 26 | 6 | 9 | 11 | 27-41 | 27 |
| 15. პალასი | 25 | 8 | 2 | 15 | 18-34 | 26 |
| 16. ნორვიჩი | 26 | 6 | 7 | 13 | 19-39 | 25 |
| 17. ვესტ ბრომვიჩი | 26 | 4 | 12 | 10 | 30-38 | 24 |
| 18. სანდერლენდი | 25 | 6 | 6 | 13 | 25-38 | 24 |
| 19. კარდიფი | 26 | 5 | 7 | 14 | 19-44 | 22 |
| 20. ფულჰემი | 26 | 6 | 2 | 18 | 26-58 | 20 |

**ბომბარდირები:** 23 - ლუის სუარესი (ლივერპული), 16 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 15 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი)

● ამბები

### ვან გაალი ინგლისს უმიზნებს

„ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელობის კანდიდატებად ავტორიტეტული სპეციალისტები სახელდებიან. მათ შორის **ლუჩანო სპალეტი** (ზენიტი) და **ლუის ვან გაალი** (ჰოლანდიის ნაკრები). უკანასკნელი მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ საკლუბო ფეხბურთში გეგმავს დაბრუნებას და წინადადებებს უკვე ელოდება. *„აქამდე მხოლოდ ესპანეთში, გერმანიასა და ჰოლანდიაში მიმუშავია. ასე რომ, ინგლისში მუშაობის პერსპექტივა ნამდვილად მხიბლავს. ვფიქრობ, რომ ჩემს კარიერაში ეს ქვეყანა მომდევნო იქნება. მართალია, „ტოტენჰემი“ დამიკავშირდა, თუმცა ამის მიუხედავად, სხვების წინადადებებსაც მოვისმენ,“* - აცხადებს 62 წლის ჰოლანდიელი სპეციალისტი.

### ტერიმ ვარჯიში განაახლა

„ჩელსის“ 33 წლის კაპიტანმა **ჯონ ტერიმ** ვარჯიში უკვე განაახლა და „ევერტონთან“ შეხვედრისას ის დიდი ალბათობით, განაცხადშიც მოხვდება. ვეტერანი უკანასკნელად მინდორზე 3 თებერვალს ვიხილეთ „მანჩესტერ სიტისთან“ XXIV ტურის შეხვედრაში. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ მას მხოლოდ 10-12 დღე გაუცდებოდა, თუმცა მკურნალობის კურსი შედარებით დიდხანს გაგრძელდა.

### მიჩუ მალე დაბრუნდება

„სუონსის“ 27 წლის ესპანელი თავდამსხმელი **მიჩუ** ჯერ კიდევ ვერ ვარჯიშობს სრული დატვირთვით, რადგან სერიოზული დატვირთვების შემდეგ ის ისევ გრძნობს დისკომფორტს. თუმცა არ არის გამორიცხული, უქმეებისთვის ყველაფერი რიგზე იყოს და მან კვირას „ენფილდზე“ თამაში შეძლოს კიდეც. შეგახსენებთ, რომ „გედების“ თავდასხმის ლიდერს ორ თვეზე მეტია არ უთამაშია. დაზიანება მან 15 დეკემბერს „ნორვიჩთან“ შეხვედრაში მიიღო.

### „ევერტონს“ ფერგიუსონი უბრუნდება

**დანკან ფერგიუსონმა** „გუდისონ პარკზე“ 10 წელი გაატარა და 250-მდე თამაშის ჩატარება მოასწრო. 2006 წელს აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მან ხუთი წელი იცხოვრა მალიორკაზე, თუმცა მიხვდა, რომ მშობლიურ გარემოში დაბრუნება სურდა. 42 წლის შოტლანდიელმა გაიარა უეფას სამწვრთნელო კურსები და ამჟამად პროფესიული ლიცენზიის ასაღებად მუშაობს. პარალელურად ის „ევერტონის“ ახალგაზრდული გუნდის მენეჯერია. მართალია, პროფესიულ დონეზე მას გამოცდილება არ გააჩნია, თუმცა კლუბში გადაწყვიტეს, რომ მისთვის **რობერტო მარტინესის** თანაშემწის პოსტი ჩაებარებინათ. ახალ სამსახურს ის ორშაბათიდან დაიწყებს.

● არსენალი

# კუთხეში მიმწყვდეული პრემიერლიგა

პრემიერლიგის გრანდები „მანჩესტერ სიტი“ და „არსენალი“ წილისყრისამ „ბარსელონასთან“ და „ბაიერნთან“ დააწყვილა. აშკარაა, მათ საშინლად არ გაუმართლათ. იღბალმა ორივეს უმტყუნა თამაშის მიმდინარეობისასაც. ერთიც და მეორეც კაცნაკლული დარჩა მეტოქესთან, ვინც წყვილში ისედაც ფავორიტად მიიჩნეოდა. „მეთოფეებს“ მიუნხენში მოგება მართებთ და ეს რომ შეუძლიათ, შარშანდელ პლეი ოფშიც დაამტკიცეს. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ შანსი ცოტაა, „არსენალის“ გამოტირება ჯერ მაინც ადრე გვგონია. უბრალოდ, მთელი რიგი წამყვანი ფეხბურთელებისა და ძირითადი მეკარის გარეშე ამოცანა კიდევ უფრო გართულდება. და მაინც, თამაშგარემდე ჩრდილოლონდონელებს 90 წუთი წინ აქვთ. ახლა **კი არსენ ვენგერის** მატჩის შემდგომ კომენტარებს გავეცნოთ.


ეპიზოდი, რომელმაც შეხვედრის და, დიდი ალბათობით, წყვილში გამარჯვებულის ვინაობა გაარკვია

### მსაჯმა თამაში მოკლა

- **შჩესნისა** და **რობენის** მსგავს ეპიზოდებს მსაჯები ყველა ქვეყანაში თავისებურად აფასებენ. იტალიაში ზუსტად ისე იქცევიან, როგორც ეს **ნიკოლა რიცოლიმ** გააკეთა. მეკარე ბურთზე მიდიოდა და რობენს ამიტომაც შეეხო. როგორც ჩანს, ვოიცეხმა სიტუაცია სათანადოდ ვერ შეაფასა, თუმცა წესის დარღვევა რომ არ სურდა, ამაში დარწმუნებული ვარ. სამწუხაროდ, გაძევებამ თამაშის შინაარსი მთლიანად შეცვალა. არა, კი არ შეცვალა, არამედ მოკლა. მანამდე უმაღლესი დონის ფეხბურთის მოწმენი ვიყავით, მეორე ტაიმში კი ნეიტრალური გულშემატკივრისთვის მატჩი უკვე მოსაწყენი გახდა, რადგან თამაში უკვე ცალ კარში მიდიოდა. ჩვენ ჯერ **გიბსი** დავკარგეთ ტრავმის გამო, მერე იძულებული გავხდით, მოედანზე მეკარე შეგვეყვანა. მესამე ცვლილებას კი, როგორც წესი, ბოლოსთვის ინახავ იმის შიშით, რომ კიდევ ერთი მოთამაშე არ დაგემტვრეს. რა გამოდის? ვიჯექით ყრუ დაცვაში და იმის შანსიც არ გვქონდა, რომ მოედანზე რამე შეგვეცვალა. ამ დროს კი მეტოქე ერთი მეორის მიყოლებით უშვებდა დასვენებულ ფეხბურთელებს.

რობენი გამოცდილი მოთამაშეა. მან მშვენივრად იცის, როგორ უნდა მიიღოს ყოველი კონკრეტული მომენტიდან მაქსიმუმი. ზოგადად „ბაიერნსაც“ ეხერხება ეს. დღეს ბევრი ისეთი ჯარიმა დაინიშნა, რომლის გამოც ინგლისში თამაშს არავინ გააჩერებდა, თუმცა ეს ევროთასების სპეციფიკაა და ამას უნდა შევეგუოთ.

რატომ არ ითამაშა **ჟირუმ?** იმიტომ, რომ ფორმაში არ არის. როცა ის ზედიზედ თამაშობს ხოლმე, საყვედურებს ვილებ ამის გამო, ხოლო როცა ვასვენებ, მაშინ მეკითხებიან, თუ რატომ არ თამაშობს. დიახ, დღეს სალამოს მე მას ამოსუნთქვის საშუალება მივეცი. ეს არ ყოფილა სასჯელი. ოლივიე საკმაოდ ძლიერი ბიჭია და ის, რაც მის პირად ცხოვრებაში ხდება, მოედანზე მის თამაშზე გავლენას არ ახდენს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXII ტურის წინ

# შეუსრულებელი მისია?

## ჰამბურგში ახალი თავგადასავალი იწყება, ბაიერნი ჰანოვერს სტუმრობს

23.02. ჰანოვერი
HDI არენა
20:30

**ჰანოვერი**

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +2=1-3 | +6=0-0 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 49 თამაში: +9=8-32 (51-133)**

**ბაიერნი**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჩერუნდოლო, ფელიპე, პანდერი, ია კონანი - ბადშტუბერი, რიბერი, შაჩირი

### 21 თებერვალი

**შალკე-მაინცი 23:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** აოგო, კირხჰოფი, უჩიდა, კლემენსი, ჰიოგერი - ბაუმგარტლინგერი, დ. შაჰინი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +5=2-0 | +4=1-1 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 15 თამაში: +9=3-3, (25:12)**

### 22 თებერვალი

**გლადბახი-ჰოფენჰაიმი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** პოლანსკი (ჰოფენჰაიმი)
**ტრავმა:** ვენდტი - ვუკჩევიჩი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +0=3-3 | +2=2-2 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 11 თამაში: +2=3-6, (13:17)**

**შტუტგარტი-ჰერტა 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ლაიტნერი, იბიშევიჩი (ორივე შტუტგარტი)
**ტრავმა:** დიდავი, გენტნერი, როხასი - ბაუმიოჰანი, ლუსტენბერგერი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +0=0-6 | +3=0-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 57 თამაში: +21=15-21, (76:66)**

**ნიურნბერგი-ბრაუნშვაიგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** ბელარაბი (ბრაუნშვაიგი)
**ტრავმა:** ჩენდლერი, მარკოს ანტონიო, ჰასებე, გინჩეკი - დავარი, ერვიგ-დრიუპელი, კორტე, იორლი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=2-1 | +2=1-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 21 თამაში: +8=4-9, (30:34)**

**ფრაიბურგი-აუგსბურგი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰედენსტადი, ფრაისი, ტერაცინო - ჰიტცი, ჰოლცჰოიზერი, ექინი, მიოლდერსი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +2=1-3 | +3=2-1 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 5 თამაში: +2=2-1, (7:5)**

**ჰამბურგი-დორტმუნდი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბადელი, დემირბაი, ვან დერ ვაარტი, ბაისტერი - სუბოტიჩი, ბლაშჩიკოვსკი, გიუნდოგანი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +0=0-6 | +3=2-1 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 93 თამაში: +33=27-33, (170:167)**

**ვოლფსბურგი-ლევერკუზენი 21:30**

**დისკვალიფიკაცია:** ჩანი (ლევერკუზენი)
**ტრავმა:** ვიეირინია - პალოპი, კრუსი, დერდიოკი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=1-2 | +2=0-4 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 33 თამაში: +11=5-17, (46:64)**

### 23 თებერვალი

**აინტრახტი-ვერდერი 18:30**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ანდერსონი, ჩელოცი, კიტელი, შტენდერა - ჰანტი

| ბოლო 6 მატჩი | |
|---|---|
| +3=1-2 | +1=2-3 |

ურთიერთშეხვედრები
**სულ 87 თამაში: +31=18-38, (126:140)**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 21 | 19 | 2 | 0 | 57-9 | 59 |
| 2. ლევერკუზენი | 21 | 14 | 1 | 6 | 38-22 | 43 |
| 3. დორტმუნდი | 21 | 13 | 3 | 5 | 51-24 | 42 |
| 4. შალკე | 21 | 12 | 4 | 5 | 41-30 | 40 |
| 5. ვოლფსბურგი | 21 | 11 | 3 | 7 | 35-25 | 36 |
| 6. გლადბახი | 21 | 10 | 4 | 7 | 37-26 | 34 |
| 7. მაინცი | 21 | 10 | 3 | 8 | 31-35 | 33 |
| 8. ჰერტა | 21 | 9 | 4 | 8 | 32-26 | 31 |
| 9. აუგსბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 30-30 | 31 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 21 | 6 | 7 | 8 | 44-44 | 25 |
| 11. ჰანოვერი | 21 | 7 | 3 | 11 | 29-37 | 24 |
| 12. აინტრახტი | 21 | 5 | 6 | 10 | 24-38 | 21 |
| 13. ვერდერი | 21 | 5 | 6 | 10 | 25-46 | 21 |
| 14. ნიურნბერგი | 21 | 3 | 11 | 7 | 25-36 | 20 |
| 15. შტუტგარტი | 21 | 5 | 4 | 12 | 34-45 | 19 |
| 16. ფრაიბურგი | 21 | 4 | 6 | 11 | 20-40 | 18 |
| 17. ჰამბურგი | 21 | 4 | 4 | 13 | 35-51 | 16 |
| 18. ბრაუნშვაიგი | 21 | 4 | 3 | 14 | 15-39 | 15 |

**ბომბარდირები:** 14 - რობერტ ლევანდოვსკი (დორტმუნდი), ადრიან რამოსი (ჰერტა); 13 - პიერ-ემერიკ ობამეიანგი (დორტმუნდი); 12 - მარიო მანჯუკიჩი (ბაიერნი); 11 - იოზიპ დრმიჩი (ნიურნბერგი).

ბუნდესლიგის 22-ე ტური დღეს კარგ ფორმაში მყოფი გუნდების, „შალკესა" და „მაინცის" დუელით იწყება. შაბათის შეხვედრებში გადარჩენისთვის მებრძოლ კლუბებს რთული მისიები ელით: „ჰამბურგი" ახალი მწვრთნელის, **მირკო სლომკას** სადებიუტო შეხვედრაში „დორტმუნდს" მიიღებს, „შტუტგარტი" კი - **ლევან კობიაშვილის** „ჰერტას". პირველ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებაა მთავარი თემა „ნიურნბერგისა" და „ბრაუნშვაიგის" შეხვედრაშიც. შაბათ საღამოს მატჩი კი „ვოლფსბურგისა" და „ლევერკუზენის" უაღრესად საინტერესო დაპირისპირებაა. „ბაიერნი" კვირას, ჰანოვერში ითამაშებს.

ჯერ კიდევ დეკემბერში ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „შალკესა" და „მაინცის" ასეთი პრინციპული მნიშვნელობა ექნებოდა, თუმცა მეორე წრე ორივე გუნდმა ძალიან კარგად დაიწყო - „შალკემ" ოთხი, „მაინცმა" კი სამი შეხვედრის მოგება მოახერხა, რაც იმას ნიშნავს, რომ ახლა გელზენკირხენელები ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვიან, მაინცელების მიზანი კი ევროპალიგაზე მოხვედრაა. „შალკეს" კაპიტანი **ბენედიქტ ჰიოვედესი** და ნახევარმცველი **იულიან დრაქსლერი** დაუბრუნდნენ.

### გლადბახის პირველი მოგება 2014-ში?

სამაგიეროდ, მეორე წრე ძალიან ცუდად დაიწყო მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" - **ლუსიენ ფავრის** შეგირდებს მეორე წრეში ერთი მოგებაც არ აქვთ. „გლადბახი" ამჯერად „ჰოფენჰაიმს" მასპინძლობს და სამ ქულასაც გეგმავს. ფავრი ტრავმირებულ **ვენდტს** სავარაუდოდ, **დემსით** შეცვლის, რომელიც გამოჯანმრთელდა და კონტრაქტი 2015 წლამდე გაახანგრძლივა. აქვე ვთქვათ, რომ გუშინ „გლადბახთან" ახალი კონტრაქტი დაცვაში მისმა კოლეგამ, **იანჩკემაც** გააგრძელა. „ჰოფენჰაიმი" ბოლო დროს ცუდად არ გამოიყურება - „სოფლელებმა" სარელეგაციო მე-16 ადგილთან უპირატესობა შვიდ ქულამდე გაზარდეს.



მირკო სლომკა ჰამბურგის ახალი მწვრთნელია. მისი დებიუტი შაბათს, დორტმუნდის ბორუსიასთან მატჩში შედგება

### შტუტგარტი გასაჭირში

ბოლო დროს ხშირად ვწერდით „ჰამბურგის" კრიზისზე, სადაც მწვრთნელი უკვე შეიცვალა. ახლა ჩვენი გერმანელი კოლეგები სამწვრთნელო გადაადგილებას უკვე „შტუტგარტში" ელოდებიან, რადგან მეორე ბუნდესლიგისკენ ეს გუნდიც ელვის სისწრაფით მიექანება. შვაბენლანდური კლუბის ხელმძღვანელები მწვრთნელ **თომას შნაიდერს** ჯერჯერობით ენდობიან, მაგრამ თუ „შტუტგარტმა" ქულების დაგროვება არ განაახლა, მოთმინების ფიალა მალე აევსებათ. შვაბთა მეტოქე ამჯერად „ჰერტაა", რომელმაც პირველი წრე კარგად ჩაატარა, სეზონის მეორე ნახევარში კი ჯერ მხოლოდ სამი ქულა აქვს აღებული, რაც ევროპალიგის საგზურისთვის მებრძოლი გუნდისთვის ძალიან ცოტაა.

### სლომკას მისია დორტმუნდით იწყება

ნული ქულა და ბურთების შეფარდება 5:20 - აი, ასეთია „ჰამბურგის" ბალანსი ბოლო შვიდ ტურში. ბოლო კოლაფსის შემდეგ, ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელებმა ბოლოს და ბოლოს გადადგეს ლოგიკური ნაბიჯი და **ბერტ ვან მარვეიკი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს, მის ნაცვლად კი მთავარ მწვრთნელად მირკო სლომკა დაინიშნა. ამრიგად, 46 წლის სპეციალისტს ურთულესი მისია დაეკისრა და თანაც, სადებიუტო ბრძოლა არც მეტი, არც ნაკლები, დორტმუნდის „ბორუსიასთან" ელის. „ჰამბურგს" კაპიტანი და ლიდერი **რაფაელ ვან დერ ვაარტი** აკლია.

### ლევერკუზენს კრიზისი ეწყება?

ერთი წაფორხილებაც და, „ლევერკუზენი" მეორე ადგილს დაემშვიდობება, რაც, შესაძლოა, ამ ტურში მოხდეს, რადგან „ფარმაცევტები" ვოლფსბურგში ჩადიან. „მგლები" კარგ ხასიათზე არიან, რადგან წინა ტურში ბერლინიდან სამი ქულა წაიღეს, ლევერკუზენელები კი, პირიქით, რადგან გერმანიის თასიდან „კაიზერსლაუტერნთან" გავარდნენ, მერე ბუნდესლიგაში საკუთარ მოედანზე „შალკესთან" დამარცხდნენ, სამშაბათს კი, ჩემპიონთა ლიგაში, პსჟსთან 0:4 განადგურდნენ...

### ბაიერნი ისევ მოწოდების სიმაღლეზე?

ყველაზე საინტერესო კი ტურის უკანასკნელი მატჩია, რომელშიც „ბაიერნი" „ჰანოვერს" ესტუმრება. რეკორდმაისტერზე სალაპარაკო ბევრი არაფერია, ხოლო რაც შეეხება „ჰანოვერს": „წითლებმა" ახალი მწვრთნელით (**ტაიფუნი**) მეორე წრე ორი მოგებით დაიწყეს, მაგრამ მერე ორ შეხვედრაში დამარცხდნენ.

*„მნიშვნელობა არა აქვს, ვის ვეთამაშებით - თუ მაქსიმალურად კონცენტრირებულები ვიქნებით, წარმატების მიღწევა ნებისმიერ მეტოქესთან შესაძლებელია,"* - აცხადებს ტაიფუნი. 13 ტურია, „ბაიერნს" ბუნდესლიგაში ერთი ქულაც კი არ დაუკარგავს...

**გოტფრიდ ლენცი**



სოჭი 2014




თენგიზ გაჩეჩილაძე სოჭიდან

# სასწაული არ ხდება

ოლიმპიური სოჭის ზამთრის სპორტის სასახლე „აისბერგი" გუშინ საღამოს ფიგურულ ციგურაობაში ფინალისტ ქალთა ასპარეზობას მასპინძლობდა - 24 საუკეთესო, რომელიც წინადღეს ფინალში მოკლე პროგრამიდან გავიდა, ახლა თავისუფალი პროგრამით წარდგა მაყურებლისა და არბიტრების წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტების შესაძლებლობები ცნობილი იყო, ვერავინ ივარაუდებდა, ორი დღის შედეგების შეჯამებით, ვის შორის განაწილდებოდა ადგილები ოლიმპიადის საპატიო კვარცხლბეკზე.

**ელენე გედევანიშვილი** ფინალისტთა ოთხი ჯგუფიდან (6-6 მონაწილე თითოეულში) მეორეში მოხვდა და თავის ჯგუფში ასევე მეორე, საერთოდ კი მერვე გავიდა ყინულზე. ფაქტობრივად სერიოზული ბრძოლა პირველობისათვის მეორეჯგუფელთა გამოსვლით დაიწყო. ტელევიზიით ნახეთ ალბათ, ელენე მომდევნო მონაწილეების გამოსვლამდე მესამე ადგილზე იყო. მერე და მერე გაძლიერდა კონკურენცია. იგრძნობოდა, რომ მეტოქეები მაღალი ქულების მოპოვებას შეიძლება ოდნავი, მაგრამ განსხვავებული რთული ილეთების მაღალი ოსტატობის შესრულებით ცდილობდნენ. პროგრამის გართულება გამართლებაზეა, ზოგს გაუმართლა, ზოგს - არა.

ჩვენს სპორტსმენს საპრიზო ადგილზე პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა და არც ჰქონია, მაგრამ ათეულში მოხვედრაც არ იყო იოლი მისაღწევი. აკი ელენე მხოლოდ მე-19 ადგილს დასჯერდა (147.15 ქულა). სასწაული არ ხდება.

საპატიო კვარცხლბეკზე ადგილება ასე განაწილდა: პირველი, **ადელინა სოტნიკოვა** (რუსეთი) - 224.59 ქულა; ვერცხლის მედალი წილად ხვდა კორეელ **იუნა კიმს** (კორეა) - 219.11; მესამე იყო **კაროლინა კოსტნერი** (იტალია) - 216.73.

შეგახსენებთ, რომ ვანკუვერში გამართულ ოლიმპიადაზე ელენე გედევანიშვილი მე-14 ადგილზე გავიდა.

*სოჭის ოლიმპიადაზე „ლელოს"ცხელი ხაზის ტელეფონია: +7938 43 99 565.*

ოფიციოზი

# ტომას ბახი ქართველებს შეხვდა

ჯერ კიდევ „სოჭი 2014"-ის გახსნამდე, სოკ-ის პრეზიდენტმა **ტომას ბახმა** ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იგი აუცილებლად შეხვდებოდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელობას და სიტყვა შეასრულა კიდეც.

20 თებერვალს, ბახი სეოკ-ის პრეზიდენტს **ლერი ხაბელოვს** და გენერალურ მდივან **ემზარ ზენაიშვილს** შეხვდა. საუბარი, დაახლოებით 30 წუთს გაგრძელდა და საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა. ლერი ხაბელოვმა ტომას ბახს კიდევ ერთხელ მიულოცა ამ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევა.

*- ჩვენი ეოკ-ი მუდამ გრძნობდა და გრძნობს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მხარდაჭერას. მინდა მადლობა გადაგიხადოთ, რომ მიუხედავად გადატვირთული სამუშაო გრაფიკისა, ჩვენთვის დრო მაინც გამონახეთ. სოკ-ის ყველა პრეზიდენტი გამორჩეული ადამიანი და უბადლო პროფესიონალი იყო, თუმცა მათგან ოლიმპიური ჩემპიონი არც ერთი ყოფილა. თქვენ ამ მხრივ პირველი ხართ და მინდა წარმატებები გისურვოთ, - აღნიშნა სეოკ-ის თავკაცმა.*

ტომას ბახმა ქართული დელეგაციის მიმართ თავისი პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოხატა და აღნიშნა, რომ ფლობს დეტალურ ინფორმაციას იმ პრობლემების შესახებ, რაც თან ახლდა ჩვენი გუნდის სოჭში ჩამოსვლას.

- საქართველოს ოლიმპიური გუნდი სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა პეკინის თამაშებზე, შემდეგ იყო ვანკუვერი და ნოდარ ქუმარიტაშვილის ტრაგედია. ახლა კი არის სოჭი და ის წნეხი, რასაც თამაშების წინა პერიოდში განიცდიდით და განიცდით. ღირსეულად გადალახეთ ყველა ეს სიძნელე და კრიტიკულ მომენტში ყოველთვის სწორი ნაბიჯები გადადგით. რა თქმა უნდა, სოკ-ი ამას ხედავს და აფასებს, - თქვა ტომას ბახმა.

თავისთავად, საუბარი შეეხო ქართველი მოციგავის ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნის უკვდავსაყოფად, მის მშობლიურ ბაკურიანში სპორტული ობიექტის მშენებლობას. სოკ-ის პრეზიდენტმა გამოთქვა მზადყოფნა, გააგრძელოს პროექტის ხელშეწყობა, რომელიც მისმა წინამორბედმა დაიწყო. ითქვა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მომავალში აუცილებლად გაიმართება კონსულტაციები სოკ-სა და სეოკ-ს შორის. რა თქმა უნდა, გათვალისწინებული იქნება ოჯახის აზრიც.

შეხვედრის ბოლოს, ლერი ხაბელოვმა სოკ-ის პირველი მაღალჩინოსანი კიდევ ერთხელ მოიწვია თბილისში, 3-5 ოქტომბერს სეოკ-ის დაარსების 25 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. ბახმა სიამოვნებით გაიხსენა 1997 წელს, მისი პირველი ვიზიტი საქართველოს დედაქალაქში და აღნიშნა, რომ თუ დროის დეფიციტი ხელს არ შეუშლის, ქართული ოლიმპიური მოძრაობისთვის ამ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას აუცილებლად დაესწრება.

**კახა ზერიძე**
სეოკ-ის პრესატაშე სოჭიდან.
სპეციალურად „ლელოსთვის"


მარცხნიდან: ემზარ ზენაიშვილი, ლერი ხაბელოვი და ტომას ბახი

რაგბი. ერთა თასი

# დათვები ისევ გვეწვივნენ დავხვდეთ!


ვიქტორ კოლელიშვილის ლელო. საქართველო-რუსეთი 2012. სოჭი

**შაბათს საქართველოს ნაკრები ერთა თასის მორიგ მატჩში, რომელიც იმავდროულად 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის მერე ეტაპია, ეროვნულ სტადიონზე რუსეთის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. „ბორჯღალოსნები" გამარჯვების შემთხვევაში მსოფლიოს უდიდესი სარაგბო ფორუმის საგზურს გაინაღდებენ.**

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** პორტუგალიასთან მატჩთან შედარებით, შემადგენლობაში რამდენიმე ცვლილება განახორციელა. რუსებთან შეხვედრაში ძირითადში დაიწყებენ თამაშს პირველხაზელები **ჯაბა ბრეგვაძე** (ტულუზი) და **დავით ზირაქაშვილი** (კლერმონი). უცვლელია მეორე ხაზი. სამაგიეროდ, მესამე ხაზში დაგვიბრუნდა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი **მამუკა გორგოძე** (მონპელიე). შესაბამისად, **გიორგი ჩხაიძემ** (ტარბი) სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა.

უკანა ხაზში ერთი ცვლილებაა. ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდა შუამარბი **მერაბ შარიქაძე** (ბურგ ან ბრესი). გამოცდილი **თედო ზიბზიბაძე** (პერიგო) კი, გუნდის თამაშის გაძლიერებას შეცვლაზე შესვლის შემდეგ შეეცდება.

საბრძოლო რაზმი დაასახელა რუსეთის ნაკრების უელსელმა მწვრთნელმა **კინგსლი ჯოუნზმაც**. განაცხადში ქართული წარმოშობის მორაგბეები, **ვასილ კვერნაძე** და ძმები **გრიგოლ** და **ვალერი ცნობილაძეები** არ არიან. მიუხედავად ამისა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დათვები" თბილისში ოპტიმალური შემადგენლობით გვეწვივნენ. ძირითად გუნდში ყველა საკვანძო მოთამაშეა. ესენია: ფულბეკი **ვასილი არტემევი**, შუამარბი **ალექსეი მაკოვეცკი**, მგეზავი **იური კუშნარიოვი**, მესამეხაზელი **ანდრეი ოსტრიკოვი** და მეორეხაზელი **კირილ კულემინი**.

საქართველოსა და რუსეთის ნაკრების მატჩს, რომელიც ეროვნულ სტადიონზე შაბათს, 17 საათზე დაიწყება, რაგბის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი **ბერნარ ლაპასე** დაესწრება.

ცოტა რამ ისტორიიდან, აქამდე „ბორჯღალოსნებსა" და „დათვებს" შორის 17 მატჩი გაიმართა. აქედან ჩვენმა მორაგბეებმა 15 მოიგეს, ერთი წააგეს და ერთიც ფრედ დასრულდა.

**საქართველო:** 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. ირაკლი მაჩხანელი, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. თამაზ მჭედლიძე, 10. ლაშა ხმალაძე, 9. გიორგი ბეგაძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. დავით ზირაქაშვილი, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. ლევან დათუნაშვილი, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. მამუკა გორგოძე, 8. დიმიტრი ბასილაია.

16. შალვა მამუკაშვილი, 17. ზურაბ ჟვანია, 18. ლევან ჩილაჩავა, 19. გიორგი ნემსაძე, 20. გიორგი ჩხაიძე, 21. ვაჟა ხუციშვილი, 22. თედო ზიბზიბაძე, 23. ლაშა მალაღურაძე.

**რუსეთი:** 15. ვასილი არტემევი, 14. ანდრეი ოტროკოვი, 13. დიმიტრი გერასიმოვი, 12. ალექსეი მაკოვეცკი, 11. იგორ გალინოვსკი, 10. იური კუშნარიოვი, 9. ალექსანდრ იანუშკინი. 1. ალექსეი ვოლკოვი, 2. ვლადისლავ კორშუნოვი, 3. ანდრეი იგრეცოვი, 4. ალექსანდრ ვოიტოვი, 5. კირილ კულემინი, 6. ანდრეი ოსტრიკოვი, 7. ანდრეი ტემნოვი, 8. ვიქტორ გრესევი.

16. სტანისლავ სელსკი, 17. სერგეი სეკისოვი, 18. ინოკენტი ზიკოვი, 19. პაველ ბუტენკო, 20. ალექსანდრ ხუდიაკოვი, 21. ანტონ რიაბოვი, 22. სერგეი სუგრობოვი, 23. ვლადიმირ რუდენკო.

**III ტური**
**22 თებერვალი**
საქართველო-რუსეთი
რუმინეთი-ესპანეთი
ბელგია-პორტუგალია

**ერთა თასი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | +60 | 9 |
| 2.რუმინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | +55 | 9 |
| 3.ესპანეთი | 2 | 1 | 0 | 1 | +2 | 5 |
| 4.რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | -28 | 4 |
| 5.ბელგია | 2 | 0 | 0 | 2 | -40 | 1 |
| 6.პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | -49 | 0 |

**მსოფლიოს თასის შესარჩევი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 7 | 6 | 1 | 0 | +134 | 28 |
| 2.რუმინეთი | 7 | 6 | 1 | 0 | +104 | 28 |
| 3.რუსეთი | 7 | 4 | 0 | 3 | -34 | 18 |
| 4.ესპანეთი | 7 | 1 | 2 | 4 | -55 | 10 |
| 5.პორტუგალია | 7 | 1 | 1 | 5 | -70 | 7 |
| 6.ბელგია | 7 | 0 | 1 | 6 | -79 | 6 |

**ბესიკ ჯანგავაძე**



რაგბი. დაფინანსება

# ქართული რაგბის დაფინანსება იზრდება

**საქართველოს მთავრობის კანცელარიაში, 20 თებერვალს გამართულ მთავრობის სხდომაზე, მინისტრთა კაბინეტმა რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის ახალი პროგრამა დაამტკიცა.**

საქართველოში რაგბის მზარდი პოპულარობის გათვალისწინებით და სპორტის ამ სახეობის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, „საქართველოში რაგბის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა" 2014 წლიდან გაიზრდება. 2014-2016 წლებში, ნაცვლად პროგრამით გათვალისწინებული 11 800 000 (თერთმეტი მილიონ რვაასი ათასი) ლარისა, რაგბის განვითარებას სახელმწიფო 33 673 968 (ოცდაცამეტი მილიონ ექვსას სამოცდაცამეტი ათას ცხრაას სამოცდარვა) ლარს მოახმარს.

2014-16 წლებში გაიზრდება უმაღლესი ლიგის გუნდების საბაზო დაფინანსება: ნაცვლად 100 000 (ასი ათასი) ლარისა, თითოეული გუნდი 400 000 (ოთხასი ათასი) ლარით დაფინანსდება.

პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, საბაზო დაფინანსება ექნება პირველი ლიგის გუნდებს.

საბაზო დაფინანსების გარდა, 2013-14 წლების ჩემპიონატის შედეგების მიხედვით, უმაღლესი ლიგის კლუბებს შორის საპრიზო ფონდიც განაწილდება. პირველი ლიგის გუნდებს შორის საპრიზო ფონდი მომდევნო, 2014-15 წლების სეზონის შედეგების მიხედვით განაწილდება.

საქართველოში რაგბის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული თანხის - 33 673 968 ლარი - ხარჯვას საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო განახორციელებს საქართველოს რაგბის კავშირის სუბსიდირების გზით.

რაგბის განვითარების ფინანსური მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამაში ხსენებული ცვლილება საქართველოს მთავრობის, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და საქართველოს რაგბის კავშირის თანამშრომლობით შევიდა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

რაგბი. მონოლოგი

# მსოფლიოს თასზე აუცილებლად გავალთ

**მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში მონაწილეობა უდიდესი გამოცდილებაა. ცხადია, ამის მიღწევას ნიჭთან ერთად დიდი შრომაც სჭირდება. თუმცა, ამ უკანასკნელის გარეშე საერთოდ წარმოუდგენელია. ადამიანმა რამეს მიაღწიოს. ეს კარგად ესმის „ბორჯღალოსნების" მესამეხაზელს და მთავარ მხტომელს გიორგი ჩხაიძეს. გამორიცხული არ არის, მოვლენათა სასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში, მან მსოფლიოს თასის მეოთხე გათამაშებაშიც იასპარეზოს, რაც, ცხადია, უდიდესი მიღწევა იქნება. ყველაფრის გათვალისწინებით ჩხაიძე ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა. მასთან საუბარი „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" შედგა:**

- ბავშვობაში ცურვაზე დავდიოდი. მერე ქვეყანაში მდგომარეობა აირია, წყალი აღარ გვქონდა. „ლაგუნა ვერეზე" გადავედი. ცოტა ხანში იქაც შეუძლებელი გახდა ვარჯიში. საშინელი დრო იყო. ერთხელ, ტრანსპორტი არ იყო და ვერადან დიდ დიღომში ფეხით მომიწია წასვლამ.

მერე, როგორც ყველა ბიჭი იმ დროს, ქუჩაში ვიდექი. ერთხელ ვიღაც ცხვირგატეხილი, შავგვრემანი კაცი მომიახლოვდა. ხელში ოვალური ბურთი ეჭირა, შემომთავაზა, მოდი რაგბიში ივარჯიშეო. 14-15 წლის ვიყავი. რაგბიზე არაფერი მსმენოდა. ვუთხარი, სახლში ვიკითხავ-მეთქი. ცხადია, ჩემები დამთანხმდნენ, ნახე, რა იცი რა ხდებაო.

ასე დავიწყე **გიზო ურუშაძესთან** ვარჯიში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან მოლიპულ გზაზე სიარულს გადამარჩინა. არა მარტო მე, ბევრს უშველა. მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე სკოლაში დადიოდა და ჩვენს ამბავს კითხულობდა, როგორ ვსწავლობდით, ხომ არ ვცელქობდით, არადა ძალიან ცელქი ვიყავი. მწვრთნელმა გუნდიდან რამდენჯერმე გამაგდო და ისევ მიმიღო.

გარდამტეხი ერთი შემთხვევა აღმოჩნდა. მორიგი გაგდება სენაკში გასამართ ტურნირს დაემთხვა. ჩვენი გუნდი ნასასვლელად ემზადებოდა. მეც ძალიან მინდოდა შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, მაგრამ გუნდში არ დამაბრუნა.

ამის მერე ვარჯიშს უფრო სერიოზულად მივუდექი. ცოტა მოგვიანებით, 1980-81 წლებში დაბადებულთა შორის საქართველოს ნაკრებში მოხვედრის შანსი მქონდა. მანამდე ძალოსნობაში არ ვვარჯიშობდი. შტანგა ხელში არ მჭერია. ამიტომ, ტესტირება ვერ გავიარე და გუნდის მწვრთნელმა **ლევან მგელაძემ** ნაკრების მიღმა დამტოვა. ამან ძალიან იმოქმედა. თავს მოვუარე, მეტი ვივარჯიშე და მომდევნო წელიწადს 1981-82 წლებში დაბადებულთა ნაკრებში მაინც მოვხვდი...

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში „ლელოს" შემადგენლობაში თამაშმა არ მომიწია. საფრანგეთში, შეიძლება ითქვას, რომ ცოტა ნაადრევად წავედი. 19 წლის ვიყავი, როცა მე და **სანდრო მჭედლიშვილი** „სენ ნაზერში" მოვეწყვეთ. მოგვიანებით **დავით ხინჩაგიშვილიც** შემოგვიერთდა. ძალიან გაგვიჭირდა, ენა არ ვიცოდით. საქართველოში მშობლები გივლიან, საჭმელს გიმზადებენ, ტანსაცმელს გირეცხავენ, ყველაფერი მზა გაქვს. იქ ეგ ყველაფერი მორჩა. ყოველივეს კეთება ჩვენ გვიწევდა. კერძების მომზადება ჩვენ არ ვიცოდით, არადა სპორტისთვის აუცილებელია კვების სათანადო რაციონი. თან კლუბის პრეზიდენტი ხელფასზე სულ გვაწუწუნებდა. გვეუბნებოდა, იცით 150 ევრო რა დიდი ფულია საქართველოშიო?

ერთი წლის მერე **ჟან პიერ ელისალდმა** „ლა როშელში" მიმიწვია. იქ კარგად ვიყავი, ხშირად ვთამაშობდი, მაგრამ ნაკრებშიც ხშირად მეძახდნენ, ავსტრალიაში გასამართი მსოფლიოს თასიც ახლოვდებოდა. ამიტომ, გუნდში ბევრი დრო გამიცდა. ეს კი კლუბის ხელმძღვანელობას არ აწყობდა...

ელისალდი „ბეზიეში" გადავიდა და მითხრა, თუ მსოფლიოს თასზე არ წახვალ, თან წაგიყვანო. ცხადია, უარი ვუთხარი. მერე „ბორდოში" გადავედი. იქ სერიოზულად დავშავდი და მერე „მასიში" აღმოვჩნდი. იქ ძალიან კარგად მომექცნენ, ოპერაცია გამიკეთეს, ფეხზე დამაყენეს და ამ პატარა პარიზულ გუნდში სამ წელიწადზე მეტი დავყავი...

მერე **ვიქტორ დიდებულიძემ ერიკ ბლანს** ჩემი გუნდში აყვანა ურჩია და „მეტრო რასინგში" გადავედი. აქ ერთი წელი ვითამაშე. რადგან ნაკრებში მიწევდა ჩამოსვლა, ეს კლუბში პრობლემას მიქმნიდა. ეს თემა ახლაც აქტუალურია. კლუბებს არ სიამოვნებთ, როცა მათი მოთამაშეები ნაკრებში სათამაშოდ მიდიან...

მოგვიანებით პარიზიდან მონპელიეში გადავბარგდი **მამუკა გორგოძის** დახმარებით. მშვენივრად ვთამაშობდი, მაგრამ ერთ დღეს ხელი მოვიტეხე. მერე გუნდის მწვრთნელთა შტაბი შეიცვალა. თამაშებს აღარ მაძლევდნენ და გუნდის დატოვებამ მომიწია. ამ დროს **მერაბ კვირიკაშვილი** დამიკავშირდა და ფედერალ 1-ის „სენ ჟუნიენში" მირჩია გადასვლა - ითამაშებ მაინცო. სენ ჟუნიენი პატარა, წყნარი ქალაქია. მე და „მეკო" ერთად ვიყავით. მალე **ჟან-პიერ ბრონკანი** დამიკავშირდა და „ტარბში" მიმიწვია. აქამდე იქ ვთამაშობ.

მსოფლიოს თასის სამი გათამაშებიდან ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება 2003 წელს ავსტრალიაში გამართულმა შეჯიბრებამ დატოვა, არადა იქ ყველა თამაში წავაგეთ. მომდევნო მსოფლიოს თასზე 2007 წელს უკვე ერთი თამაშის მოგება შევძელით და ერთი ნაბიჯით წინ წავიწიეთ. ახალ ზელანდიაში კი, ცოტა უფრო სხვა რამეს ველოდი. ეს დიდი სარაგბო ქვეყანაა და რატომღაც მეგონა, რომ იქ მეტი აჟიოტაჟი იქნებოდა.

2015 წლის მსოფლიოს თასზე აუცილებლად წავალთ. გუნდი გაიზარდა, მეტი გამოცდილება შევიძინეთ. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო გვაქვს საიმისოდ, რათა თუნდაც იმის 80 პროცენტის შესრულება შევძლოთ, რასაც ჩვენგან **მილტონ ჰეიგი** ითხოვს. ამისთვის ძალიან მაღალი ფიზიკური კონდიციები და დახვეწილი ტექნიკაა საჭირო. ვშრომობთ, რომ ამას მივაღწიოთ.

**ბესიკ ჯანგავაძე**


გიორგი ჩხაიძე დერეფანში უბადლოა



ელ-ფოსტა ან მობილური
ვაჟა სიმონიშვილი
პაროლი
●●●●●●●●●●●
ავტორიზაცია
დამიმახსოვრეთ
დაგავიწყდათ პაროლი?



# ფოტოპარალელი

ინფორმაციის ზღვაში შიგადაშიგ არაერთი საინტერესო ინფორმაცია თუ ფოტო „გამოირიყება“ ხოლმე. მათი აკრეფა და ერთ „კალათაში“ მოქცევა გვაძლევს საინტერესო მასალას რუბრიკა „ტაიმლაინისთვის“. დღეს გთავაზობთ პარალელურ ფოტოებს, რომლებიც ბოლო დროს ინტერნეტსივრცეში ამოვკრიბეთ.





ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე დაფიქსირებული სანახაობა „ფეისბუკის“ მომხმარებელმა საკუთარ ჩიზბურგერზე ასახა



მოციგურავე და იხვი



გარეთ ბეილი და მუსიკოსი კიტ რიჩარდსი



გურამ კაშია და ერიკ კანტონა



ბრიტანეთის დაქვემდებარებაში მყოფი კუნძულ მენის დროშა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები




მულტფილმ „მადაგასკარის“ გმირები და იტალიურ გუნდ კანტუს 2013 წლის კალენდარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. გერმანიის ტურნირი

# ქართველების გერმანული წილი

გერმანულ დიუსელდორფში ამ უქმეებზე გაიმართება „დიდი პრიზის“ მორიგი ტურნირი, რომელშიც ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოვა: **ლუხუმ ჩხვიმიანი** (60), **შალვა ქარდავა** (66), **ლაშა შავდათუაშვილი**, **უშანგი მარგიანი** (81), **ბექა ღვინიაშვილი**, **ზვიად გოგოჭური** (ორივე - 90), **იოსებ მსხალაძე**, **ნოდარ მეტრეველი** (100), **ადამ ოქრუაშვილი**, **ლევან მატიაშვილი** (+100). გუშინ ჩატარდა წილისყრა და გამოვლინდნენ ჩვენებურთა მეტოქეები.

ჩხვიმიანი პირველ წრეში ისვენებს, ტურნირს კი ყაზახ **იელდოშ სმეტოვთან** შეხვედრით დაიწყებს. სმეტოვი თავად ჩხვიმიანს ჯერ არ შეხვედრია, რადგან ჩვენებური ასაკით პატარაა და წლეულს პირველად გამოდის უფროსთა შორის. სამაგიეროდ, ყაზახი უხერხული მეტოქეა ამ წონაში ჩვენს ლიდერ **ამირან პაპინაშვილისთვის**, ვისაც კარიერაში ორიდან ორივე პაექრობა მოუგო. მომდევნო პაექრობაში ჩვენებურის მეტოქე თურქი **არიფ კაბას**, ფრანგ ევროპის ჩემპიონ **სოფიან მილუსა** და უკრაინელ **გევორგ ხევორხიანს** შორის მოგებული იქნება.

შალვა ქარდავა პირველ წრეში ბელარუს **დმიტრი შერშანს** დაეჭიდება და იქ შეეცდება შემდეგ წრეში გასასვლელი საგზურის მოპოვებას, სადაც, წარმატების შემთხვევაში, ბრიტანელ **კოლინ ოუტსსა** და ებრაელ **ტალ ფლიკერს** **შორის** მოგებულთან მოუწევს პაექრობა.

ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი შავდათუაშვილი პირველად ჭიდაობს ახალ წონაში და, ამდენად, მისი ყოველი ნაბიჯი საყურადღებოა. პირველ პაექრობას ის ამერიკელ **ნიკოლას დელპოპოლოსთან** გამართავს, მერე კი ვნახოთ, რას იზამს დანარჩენ პაექრობებში, სადაც ძლიერი კონკურენტები არ ელოდებიან.

უშანგი მარგიანი პირველ წრეში ისვენებს, მისი მეტოქე კი კუბელი **ივან ფელიპე სილვა მორალესის** და გაბერძნებული ქართველის, ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონ **რომან მასტოპულოსის** პაექრობაში გაირკვევა.

ბექა ღვინიაშვილი მეორე წრეში გერმანელ **აარონ ჰილდებრანდს** გაეჯიბრება, გოგოჭურის მოწინააღმდეგე კი უზბეკი **კამოლოდდინ ხოლმამატოვის** და მოლდოვიდან არაბულ საამიროებში გაქცეული **მიხაილ მარკიტანის** პაექრობაში გამოვლინდება.

100 კილოგრამში, სადაც არც ისე დიდი ამბიციები გვამოძრავებს, მსხალაძე მეორე წრეში იაპონელ **ტაცუკი მასუბუჩის** ხვდება, მეტრეველი - გერმანელ **დინო პფაიფერს**. მატიაშვილის პირველი მეტოქე კუბელი ოლიმპიური პრიზიორი და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ოსკარ ბრისონია**. ოქრუაშვილი პირველ წრეში ისვენებს, მისი მეტოქე კი გერმანელ **პიერ ბორკოვსკისა** და სლოვენიელ **მატიას სერაის** პაექრობაში გამოვლინდება.

გერმანიის შემდეგ ჩვენები ტურნირში აღარ გამოვლენ, ვიდრე 21-23 მარტს თბილისში „დიდ პრიზზე“ არ იჭიდავებენ.



**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი



სოფიო შაფათავა



ეკატერინე გორგოძე

# მეოთხედფინალში

მოსკოვში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) გუშინ **სოფიო შაფათავამ** მეორე გამარჯვება იზეიმა. ერთეულთა თანრიგში მე-5 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა კვალიფიკაციიდან ამოსულ ანასტასია ფროლოვას სამ სეტში აჯობა დაძაბულ პაექრობაში - 1:6, 6:4,7:5. მეოთხედფინალში შაფათავა ტურნირის რეიტინგფავორიტ ალიაქსანდრა სასნოვიჩს (ბელარუსი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა გალინა პოზნიხირენკო (უკრაინა) ჩამოიშორა გზიდან - 7:5, 7:6. ქართველ ჩოგბურთელს სასნოვიჩთან რევანში აქვს ასაღები 2013 წელს ტალინის 25.000-იან ტურნირში მარცხისთვის (3:6, 7:5, 4:6). წარმატების შემთხვევაში შაფათავა ნახევარფინალში მოსკოველებს - მაია კაციტაძესა და მარგარიტა კასპარიანს შორის უძლიერესს შეხვდება. ბადის მეორე მხარეს კიდევ ერთი რუსეთელი ქართველია - ნათელა ძალამიძე, რომელმაც მერვედფინალში მეორე ნომრად განთესილი კატერინა კოზლოვა (უკრაინა) დაამარცხა - 5:7, 7:6, 7:6 დღეს იგი ესტონელ ანეტ კონტავეიტთან (მე-8 ნომერი) გაარკვევს ურთიერთობას.

■ ■ ■

ანტალიის 10.000-იან საერთაშორისო ტურნირზე მეორე ნომერია **ეკატერინე გორგოძე**, რომელმაც გუშინ ჩინელი სიაონ დონი დაამარცხა - 6:3, 6:1 და მეოთხედფინალში ჰელენ პლოსკინას (უკრაინა) მძლეველ (6:2, 5:7, 6:3) ნიკოლეტა-კატალინა დასკალუსთან (რუმინეთი) გაარკვევს ურთიერთობას. ჩინელი ჟაოჰუან იანი ჰყავდა მეტოქედ სოფიო ქვაცაბაიას. სამ სეტში აზიელმა გაიმარჯვა - 6:4, 5:7, 6:1.

წყვილთა პაექრობებში პირიქით მოხდა: რუმინელ დიანა ბუზეანთან ერთად მეორე ნომრად განთესილმა ეკატერინე გორგოძემ ჩინელების - სიაორონ დონისა და ლინ ჟუს დუეტთან დათმო პაექრობა - 6:3, 4:6, 6:10. ამ დუეტთან ნახევარფინალში მოუწევს ანგარიშსწორება მესამე ნომერ **სოფიო ქვაცაბაიას** და პია კონიგის (ავსტრია) წყვილს, რომელმაც გუშინ ოლენა კურპოტსა (უკრაინა) და ტიასა სრიმპფს (სლოვენია) აჯობა - 7:5, 6:0. მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ: იანა სიზიკოვა (რუსეთი), ლენკა ვიენეროვა (სლოვაკეთი)-იიჰონ ლი, ჟაოჰუან იანი (ორივე-ჩინეთი).

■ ■ ■

მეოთხედფინალში ითამაშებს **ნიკოლოზ ბასილაშვილიც**, რომელიც ასტანაში ჩოგბურთელ ვაჟთა 75.000-იან ტურნირში ცდის ძალებს. მეორე წრეში მან იულის მარი (საფრანგეთი) დაამარცხა - 6:7, 7:6, 6:4 და ახლა გზიდან სერბი ფილიპ კრაინოვიჩის ჩამოშორებას შეეცდება.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# ერთპიროვნულად დაწინაურდა

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში მოჭადრაკე ქალთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატის მე-3 ტურის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს საქართველოს ნაკრების წევრები - **ლელა ჯავახიშვილი** და **ბელა ხოტენაშვილი** დაუპირისპირდნენ. ორი ტურის შემდეგ ორივე დიდოსტატი უდანაკარგოდ მეწინავეობდა. თეთრებმა 33-ე სვლისთვის საგრძნობ უპირატესობას მიაღწიეს და ჯავახიშვილმა გათამაშების ცხრილში მე-3 გამარჯვება ჩაიწერა.



## ლელა ჯავახიშვილი

დაიბადა 1984 წლის 23 აპრილს თელავში. ჭადრაკის თამაში დაიწყო 6 წლისამ, შეჯიბრებებში 10 წლიდან მონაწილეობს. სხვადასხვა ასაკში საქართველოს ოთხგზის ჩემპიონმა თანატოლებში 1998 წელს ევროპის პირველობა მოიგო, მსოფლიოზე ვერცხლის მედალს დასჯერდა, მომდევნო წელს კი კონტინენტის პირველობაზე პირველი-მესამე ადგილები გაიყო, მსოფლიოზე ბრინჯაო ერგო. 2000 წლის ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ 2001 წელს საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა ქალებში (20-წლამდელთა ევროპის პირველობაზე მეორე იყო). მსგავს შეჯიბრებებში ერთხელ (2004) პირველი-მეორე ადგილები გაინაწილა, 2007 წელს კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. გუნდურში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულმა (2008) და ბრინჯაოს პრიზიორმა (2010) 2006 წელს მესამე დაფაზე მესამე ადგილი დაიკავა; გუნდურ მსოფლიოს ჩემპიონატში 2011 წელს მე-3 ადგილი, 2007 წელს მე-2 დაფაზე მცირე ვერცხლი, 2013 წელს კი მე-3 დაფაზე მცირე ბრინჯაო ხვდა. ევროპის გუნდური ჩემპიონატების მეორე (2009) და მესამეადგილოსანმა (2011) თავის დაფებზე ორჯერ მცირე ოქროს მედლები დაიმსახურა. „სამაიას“, ნტნ-ის, „ენერჯიინვესტისა“ და ერევნის „მიკას“ შემადგენლობაში რამდენჯერმე ევროპის საკლუბო ჩემპიონატებში იასპარეზა და სამჯერ ოქროს, ორჯერ ვერცხლისა და ამდენჯერვე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, შარშანწინ მე-4 დაფაზე მცირე ვერცხლის მედალიც ერგო. კანადის, ესპანეთის, თურქეთის, საფრანგეთის, ხორვატიის და სხვა ქვეყნების ქალთა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულმა შარშან სწრაფ ჭადრაკში საქართველოს გრან პრი მოიგო.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი...

გუშინ ეროვნული ჩემპიონატის მე-3 ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ანა კუჭავა-ნინო ხურციძე** 0,5:0,5, **სოფიკო გურამიშვილი-ნინო ხომერიკი** 1:0, **სოფიო გვეტაძე-მერი არაბიძე** 0:1, **ინგა ხურცილავა-ნანი უნაფქოშვილი** 1:0, **სოფიო ნიკოლაძე-ნინო ბაციაშვილი** 0,5:0,5.

სამი ტურის შემდეგ: ჯავახიშვილი-3, გურამიშვილი-2,5, ხოტენაშვილი, ხურციძე, არაბიძე-2-2, გვეტაძე, უნაფქოშვილი, ნიკოლაძე, კუჭავა, ბაციაშვილი, ხურცილავა-1-1, ხომერიკი-0,5 ქულა.

დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: არაბიძე-ხოტენაშვილი, უნაფქოშვილი-ჯავახიშვილი, ხურციძე-ხურცილავა, ბაციაშვილი-კუჭავა, ხომერიკი-ნიკოლაძე, გვეტაძე-გურამიშვილი.

**ვაჟა დანელია**

შეხვედრა



# პარალიმპური თამაშების ლეგენდა საქართველოს სტუმრობს

ცნობილ ამერიკელ ათლეტ **ქენდლის ქემბლის**, რომელიც აშშ-ის საელჩოს მოწვევით ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფება საქართველოში, ხუთ საზაფხულო პარალიმპურ თამაშში ცხრა ოქროს და ზამთრის პარალიმპურ თამაშებში სამი მედალი აქვს მოპოვებული. იგი შეზღუდული შესაძლებლობების პირთა უფლებების აქტიური დამცველია. საპატიო სტუმარმა ახალგაზრდებისთვის უკვე ჩაატარა სემინარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირების თემასა და მათი სპორტში აქტიურად ჩართვის მნიშვნელობაზე. გუშინ ჩვენი ქვეყნის ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ორგანიზებით პარალიმპურ ჩემპიონთან ერთად სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეწვივნენ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი **რიჩარდ ნორლანდი**, აშშ-ის საელჩოს კულტურის ატაშე **ჯეიმს დიუ**. სააქტო დარბაზში შეკრებილთ სიტყვით მიმართეს რიჩარდ ნორლანდმა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა**. ქემბლიმ დამსწრეთ საკუთარი სპორტული მიღწევები გააცნო. შემდეგ საპატიო სტუმრებს მიესალმნენ სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **მაია აზარაშვილი**, ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ორი ბრინჯაოს მედლის მფლობელი, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი **ლუკა კურტანიძე**, საქართველოში ვიზიტისას ქალბატონი ქემბლი, ასევე, შეხვდება ქართველ პარალიმპელებს, შეზღუდული შესაძლებლობების პირთა დამხმარე არასამთავრობო ორგანიზაციებს, უნივერსიტეტების სტუდენტებსა და გორში ეროვნული თავდაცვის აკადემიის კადეტებს.

**ვაჟა დანელია**

ფორმულა 1


მაგნუსენის მაკლარენი

# მეორე დღე მაკლარენისაა

ბაჰრეინში გაგრძელდა წინასასეზონო ტესტების მეორე სერია. პირველი დღის შემდეგ, ინჟინრებმა მთელი ღამე ორ ცვლად იმუშავეს და ოთხშაბათს წარმოქმნილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა სცადეს. შედეგად, გუშინ ყველა გუნდი გავიდა ტრასაზე. მართალია, ხარვეზები ისევ იყო, მაგრამ განვლილი საერთო დისტანციის მხრივ, დღე საკმაოდ პროდუქტიული აღმოჩნდა: ოთხშაბათს პილოტებმა 482 წრე დაფარეს, გუშინ - 676.

ექვს გუნდში შეიცვალა პილოტი: „უილიამსის" საჭესთან **ვალტერი ბოტასი** ვიხილეთ, „ტორო როსოში" - **ჟან-ერიკ ვერნი**, „მერსედესში" - **ნიკო როსბერგი**, „ზაუბერში" - **ესტებან გუტიერესი**, „მარუსიაში" - **მაქს ჩილტონი** და „კატერჰემში" - **კამუი კობიაში.**

დილით გუნდებმა გააგრძელეს მუშაობა სისტემების საიმედოობაზე, აეროდინამიკაზე, „პირელის" ახალ საბურავებზე, დღის მეორე ნახევარი კი წრეების გრძელ სერიას დაეთმო.

თუ ხერესის ტესტებზე ტექნიკური პრობლემები „რენოს" ძრავებით აღჭურვილ ბოლიდებს ჰქონდათ, გუშინ, სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ ის გუნდები, რომლებიც „მერსედესის" ძალისმიერ აგრეგატს იყენებენ. დილით, **კევინ მაგნუსენმა** „მაკლარენის" მანქანით რვა წრე გაიარა და შემდეგ დიდი ხანი აღარ დაუტოვებია ბოქსები. **ნიკო როსბერგმა** ორჯერ გააჩერა ტრასაზე თავისი „მერსედესი" და ტრასის მომსახურე პერსონალს წითელი დროშების აფრიალებამ მოუწია. კიდევ ორჯერ შეწყდა სესია „ზაუბერისა" და „ტორო როსოს" პრობლემების გამო.

საუკეთესო დრო „მაკლარენის" დებიუტანტმა კევინ მაგნუსენმა აჩვენა, რომელმაც წრეების მოკლე სერიისას, Soft-ის საბურავით წუთი და 34.190 წამი დააფიქსირა. ყველაზე გრძელი დისტანცია კი „უილიამსის" პილოტმა ვალტერი ბოტასმა გაიარა. ბაჰრეინის ტესტები დღეს გაგრძელდება.

| II დღე | |
|---|---|
| 1. მაგნუსენი (McLaren) | 1:34.910 (46 წრე) |
| 2. ჰიულკენბერგი (Force India) | +1.535 (59) |
| 3. ალონსო (Ferrari) | +1.606 (97) |
| 4. როსბერგი (Mercedes) | +2.055 (85) |
| 5. ბოტასი (Williams) | +2.418 (116) |
| 6. კობაიაში (Caterham) | +4.945 (66) |
| 7. ფეტელი (Red Bull) | +5.430 (59) |
| 8. ვერნი (Toro Rosso) | +5.699 (58) |
| 9. გუტიერესი (Sauber) | +5.807 (55) |
| 10. გროსჟანი (Lotus) | +6.760 (18) |
| 11. ჩილტონი (Marussia) | +7.601 (17) |

მოტოგრანპრი

# ჩემპიონმა ფეხი მოიტეხა


მარკ მარკესი

მოტოგრანპრის კლასში მსოფლიოს ჩემპიონმა, ესპანელმა **მარკ მარკესმა** ბოლო ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა და გამოტოვებს მორიგი სეზონის წინ ყველა სატესტო სერიას.

მარკესი მოტოციკლიდან გრუნტის ტრეკზე მოძრაობისას გადმოვარდა. შედეგად, ესპანელმა მარჯვენა წვივის მცირე ძვალი მოიტეხა. იმავე დღეს, მარკს ბარსელონაში ოპერაცია ჩაუტარდა.

*„ოპერაციის დროს გაირკვა, რომ მარკმა თავიდან აიცილა მყესების განყვეტა,* - აღნიშნა ესპანელმა ქირურგმა **ხავიერ მირმა.** *- ვფიქრობ, მას 3-4 კვირა დასჭირდება აღდგენისთვის".*

მარკესი უკვე შეუდგა ფიზიოთერაპიულ პროცედურებს. ვარაუდობენ, რომ მოტოგრანპრის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი ახალი სეზონის სტარტისთვის ჩადგება მწყობრში.

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ორი ტრეიდი დედლაინამდე

გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ორი ტრეიდი განხორციელდა.

„ბრუკლინსა" და „საკრამენტოს" შორის გარიგებისას, ნიუიორკულმა კლუბმა „კინგზისგან" შემტევი მცველი **მარკუს ტორნტონი** მიიღო, სანაცვლოდ კი კალიფორნიელებმა ვეტერანი **ჯეისონ ტერი** და მძიმე ფორვარდი **რეჯი ევანსი** დაიმატეს.

ტორნტონი წლევანდელ სეზონში საშუალოდ 8.3 ქულას აგროვებს, 33 წლის ევანსის მონაგარი 2.7 ქულა და 5 მოხსნაა, ტერი კი „ბრუკლინს" 4.5 ქულით ეხმარებოდა.

■ ■ ■

კიდევ ერთი ტრეიდი „ლეიკერსსა" და „გოლდენ სტეიტს" შორის შედგა. ლოსანჯელესურმა კლუბმა „მეომრებს" დაუთმო თავისი ერთ-ერთი გამთამაშებელი **სტივ ბლეიკი**, თავად კი „გოლდენ სტეიტიდან" ორი სარეზერვო მცველი გადაიბირა - **კენტ ბეიზმორი და მარშონ ბრუქსი.**

ბლეიკმა წლევანდელ სეზონში 26 მატჩში მიიღო მონაწილეობა. ყველა შეხვედრაში ის სასტარტო შემადგენლობაში იყო და საშუალოდ 9.5 ქულა და 7.6 პასი დააგროვა.

**შარლოტი-დეტროიტი 116:98**

28:21, 25:26, 33:25, 30:26

**შ:** ჯეფერსონი (29), უოკერი (24+16 პასი), მაკრობერტსი (15), ჰენდერსონი (11), კიდ-გილკრისტი (11), სეშენსი (10+10 პასი).

**დ:** ჯენინგსი (20), სტაკი (15), ბაინუმი (14+8 პასი), სმიტი (14), მონრო (13), სინგლერი (10).

**კლივლენდი-ორლანდო 101:93**

26:11, 29:25, 17:32, 29:25

**კ:** ირვინგი (22), დენგი (17), ტომპსონი (16+14 მოხსნა), ზელერი (16), ჯეკი (10).

**ო:** აფლალო (23), ვუჩევიჩი (20+12 მოხსნა), ჰარისი (19), ო'ქუინი (10).

**ტორონტო-ჩიკაგო 92:94**

21:31, 20:17, 21:22, 30:24

**ტ:** დეროზანი (32), ლოური (16).

**ჩ:** ბუზერი (20), ჰაინრიხი (19), ოგასტინი (19), ბატლერი (16), გიბსონი (10), ნოა (8+13 პასი), დანლივი (2+11 მოხსნა).

**ატლანტა-ვაშინგტონი 97:114**

14:31, 33:27, 36:33, 14:23

**ა:** მილსეპი (21+11 მოხსნა), ბრენდი (20+11 მოხსნა), ტიგი (16), უილიამსი (14), კორვერი (10).

**ვ:** უოლი (21+12 პასი), არიზა (19+9 მოხსნა), ბილი (19), გორტატი (14+12 მოხსნა), უებსტერი (13), ბუკერი (12), ნენე (10).

**მინესოტა-ინდიანა 104:91**

30:18, 22:21, 30:33, 22:19

**მ:** ლავი (42+16 მოხსნა), ბრიუერი (12), ბარეა (12), ტურიაფი (11), კანინგემი (10), რუბიო (6+17 პასი).

**ი:** ჯორჯი (35+11 მოხსნა), ჰილი (13), სტივენსონი (10+10 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ნიუ იორკი 91:98**

24:23, 23:30, 23:25, 21:20

**ნ-ო:** გორდონი (28), დევისი (14+10 მოხსნა+5 დაფარება), რივერსი (14), რობერტსი (10).

**ნ-ი:** ენტონი (42), სმიტი (19), ჰარდუეი (16), ჩენდლერი (4+11 მოხსნა).

**ფინიქსი-ბოსტონი 100:94**

29:21, 23:29, 24:21, 24:23

**ფ:** მარკიფ მორისი (18), დრაგიჩი (17), გრინი (17), ფრაი (15), მარკუს მორისი (11), ტაკერი (10+11 მოხსნა).

**ბ:** რონდო (18+10 პასი), ბასი (18), გრინი (17), სალინჯერი (11).

**იუტა-ბრუკლინი 99:105**

28:21, 28:27, 18:27, 25:30

**ი:** ბერკსი (23), კანტერი (18+10 მოხსნა), ბურკი (14+10 პასი), მარვ. უილიამსი (12), ჯ. ევანსი (3+13 მოხსნა)

**ბ:** ჯონსონი (27), ბლეტჩი (25), უილიამსი (19).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 92:101**

26:30, 24:29, 26:16, 16:26

**ს:** ტომასი (26), აუთლო (18), გეი (16), ლენდრი (4+12 მოხსნა).

**გ-ს:** ლი (23+11 მოხსნა), ტომპსონი (18), კარი (13+8 პასი), იგუოდალა (13), გრინი (12), ჯორ. კროუფორდი (10).

**პორტლენდი-სან ანტონიო 109:111**

24:18, 28:33, 29:28, 28:32

**პ:** ლილარდი (31), მო უილიამსი (19), მეტიუზი (18), ლოპესი (11+14 მოხსნა), რობინსონი (10+9 მოხსნა), დ. რაიტი (10)

**ს-ა:** მილსი (29), ბელინელი (20), გრინი (16), ჯინობილი (16), სპლიტერი (15), დიაო (11).

**ლეიკერსი-ჰიუსტონი 108:134**

22:32, 21:32, 32:40, 33:30

**ლ:** ჯონსონი (24), მარშალი (20+16 პასი), მიქსი (19), კელი (13), ჰილი (10).

**ჰ:** ჰარდენი (29+11 პასი+4 ჩაჭრა), ჰოვარდი (20+13 მოხსნა), პარსონსი (18), მოტეიუნასი (12), ჯონსი (11), გარსია (11), ბევერლი (10), აშიქი (7+12 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


სტივ ბლეიკი

სოჭი 2014

# ბიორგენი ექვსგზის ჩემპიონია?

ოთხშაბათს, სათხილამურო სპორტში გუნდური სპრინტის მოგების შემდეგ, ნორვეგიელი **მარიტ ბიორგენი** ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, მაგრამ არ არის გამორიცხული, სკანდინაველმა ოლიმპიური ოქროების რიცხვი ექვსამდე აიყვანოს.


მარიტ ბიორგენი

საქმე ისაა, რომ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ხელმეორედ შეამოწმა 2006 წლის ტურინის ოლიმპიადის დოპინგ-სინჯები. ამისთვის მან გამოიყენა დოპინგის გამოსავლენი გაუმჯობესებული ტესტი. გადამოწმების შემდეგ, ოთხმა სინჯმა აჩვენა დადებითი შედეგი ანაბოლურ სტეროიდებზე. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შედეგებს სოჭის ოლიმპიადის შემდეგ გამოაცხადებს.

დაუდასტურებელი ინფორმაციით, ერთ-ერთი სპორტსმენი, რომელმაც დადებითი სინჯი ჩააბარა, ესტონელი მოთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი **კრისტინა შმიგუნია**. არ იტყობინებიან, ვის ეკუთვნის სხვა დოპინგ-სინჯები. ერთი ვერსიით, ყველა ჩავარდნილი სპორტსმენი ესტონელია.

ასე რომ, შმიგუნის დისკვალიფიკაციის შემთხვევაში, მარიტ ბიორგენი ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდება.

# კანადა ტავარესის გარეშე დარჩა


ჯონ ტავარესი

კანადის ნაკრები ჰოკეის ოლიმპიურ ტურნირს ფორვარდ **ჯონ ტავარესის** გარეშე გააგრძელებს. „აილენდერსის" ფორვარდმა ლატვიასთან მეოთხედფინალში მიიღო ტრავმა და თამაში ვერ გააგრძელა. ინციდენტი მეორე პერიოდში მოხდა, როცა კანადელს ლატვიის ნაკრების მცველი **არტურ კულდა** შეეჯახა.

მატჩის შემდეგ კანადის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ბებკოკმა** განაცხადა, რომ მისმა შეგირდმა ფეხი დაიზიანა. ტრავმის ხარისხზე ზუსტი ინფორმაცია ჯერ არ გავრცელებულა. ფორვარდი ოლიმპიადის ბოლომდე დარჩება სოჭში და დარჩენილ მატჩებში უქომაგებს კანადის ნაკრებს, რომელიც დღეს ნახევარფინალში შეხვდება აშშ-ს.

P. S. გუშინ, გვიან გახდა ცნობილი, რომ ტავარესის ტრავმა საკმაოდ სერიოზულია და ის სეზონის ბოლომდე NHL-ში ვერ შეძლებს თამაშს.

# ოლე ჩინოვნიკი ხდება

ბიატლონში რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიელი **ოლე-ეინარ ბიორნდალენი**, რომელიც სოჭის თამაშების შემდეგ ასრულებს აქტიურ კარიერას, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ათლეტთა კომისიაში აირჩიეს. უფლებამოსილების ვადა 8 წელს შეადგენს. ბიორნდალენს ხმა მისცა 1087-მა ადამიანმა.

კომისიის კიდევ ერთი წევრი გახდა ჰოკეიში კანადის ქალთა ნაკრების წევრი **ჰეილი ვიკენჰეიზერი**, რომელმაც 758 ხმა მიიღო. ამომრჩევლები იყვნენ სოჭის ოლიმპიურ სოფლებში მცხოვრები სპორტსმენები. როგორც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში იტყობინებიან, წელს არჩევნებზე სარეკორდო გამოცხადება დაფიქსირდა - ხმის მიცემის პროცედურა სოჭის ოლიმპიელთა 80-მა პროცენტმა გაიარა.


ოლე-ეინარ ბიორნდალენი

| დღევანდელი პროგრამა | |
|---|---|
| 21 თებერვალი, პარასკევი | |
| 11:45 | ფრისტაილი. ქალები. სკი-კროსი. კვალიფიკაცია |
| 12:30 | ქიორლინგი. კაცები. მე-3 ადგილისთვის |
| 13:30 | ფრისტაილი. ქალები. სკი-კროსი. I რაუნდი |
| 14:05 | ფრისტაილი. ქალები. სკი-კროსი. 1/4 ფინალი |
| 14:25 | ფრისტაილი. ქალები. სკი-კროსი. 1/2 ფინალი |
| **14:40** | **ფრისტაილი. ქალები. სკი-კროსი. ფინალი** |
| 16:00 | ჰოკეი. კაცები. 1/2 ფინალი. შვედეთი-ფინეთი. |
| 16:45 | სამთო თხილამურები. ქალები. სლალომი. I ცდა |
| 17:30 | ციგურებით სირბილი. კაცები. გუნდური გამოდევნება. 1/4 ფინალი |
| **17:30** | **ქიორლინგი. კაცები. ფინალი** |
| 18:20 | ციგურებით სირბილი. ქალები. გუნდური გამოდევნება. 1/4 ფინალი |
| **18:30** | **ბიატლონი. ქალები. ესტაფეტა 4X6 კმ** |
| 19:10 | ციგურებით სირბილი. კაცები. გუნდური გამოდევნება. 1/2 ფინალი |
| **20:15** | **სამთო თხილამურები. ქალები. სლალომი. II ცდა** |
| 20:30 | შორტ-ტრეკი. კაცები. 500 მ. 1/4 ფინალი |
| 20:45 | შორტ-ტრეკი. ქალები. 1000 მ. 1/4 ფინალი |
| 21:00 | ჰოკეი. კაცები. 1/2 ფინალი. კანადა-აშშ. |
| 21:15 | შორტ-ტრეკი. კაცები. 500 მ. 1/2 ფინალი |
| 21:20 | შორტ-ტრეკი. ქალები. 1000 მ. 1/2 ფინალი |
| **21:45** | **შორტ-ტრეკი. კაცები. 500 მ. ფინალი** |
| **21:55** | **შორტ-ტრეკი. ქალები. 1000 მ. ფინალი** |
| **22:15** | **შორტ-ტრეკი. კაცები. ესტაფეტა 5000 მ. ფინალი** |

| ფრისტაილი | |
|---|---|
| სკი-კროსი. კაცები | |
| 1. ჟან-ფრედერიკ შაპუი (საფ) | |
| 2. არნო ბოვოლენტა (საფ) | |
| 3. ჯონათან მიდოლი (საფ) | |

| სათხილამურო ორჭიდი | |
|---|---|
| გუნდური. K-125+ესტაფეტა 4x5 კმ | |
| 1. ნორვეგია | 47:13.5 |
| 2. გერმანია | +0.3 |
| 3. ავსტრია | +3.4 |

| ქიორლინგი |
|---|
| ქალები |
| 1. კანადა |
| 2. შვედეთი |
| 3. ბრიტანეთი |

| ფრისტაილი | |
|---|---|
| სკი-ჰაფპაიპი. ქალები | |
| 1. მედი ბოუმენი (აშშ) | 89.00 |
| 2. მარი მარტინო (საფ) | 85.40 |
| 3. აინა ონოზუკა (იაპ) | 83.20 |

| ფიგურული სრიალი | |
|---|---|
| ქალები | |
| 1. ადელინა სოტნიკოვა (რუს) | 224.59 |
| 2. იუნა კიმი (კორ) | 219.11 |
| 3. კაროლინა კოსტნერი (იტა) | 216.73 |

| ჰოკეი |
|---|
| ქალები |
| 1. კანადა |
| 2. აშშ |
| 3. შვეიცარია |

## სათხილამურო ორჭიდი

# მეათე ოქრო ნორვეგიას



ნორვეგიის ფინიში

სათხილამურო ორჭიდში ესტაფეტას განსაკუთრებული ინტრიგა ახლდა თან. საქმე ისაა, რომ სოჭის ოლიმპიადაზე მედლების საერთო ჩათვლაში ორი ლიდერი გამოიკვეთა - გერმანია და ნორვეგია. ამ ქვეყნების სპორტსმენები სოჭში სხვებზე უკეთ გამოიყურებიან და ბევრს მიაჩნია, რომ მედლების ცხრილში სწორედ მათ შორის უნდა გაირკვეს გამარჯვებული.

სათხილამურო ორჭიდში კი სწორედ ამ ქვეყნის ნაკრებები მიიჩნეოდნენ ფავორიტებად. ერთადერთი გუნდი, რომელიც შეიძლება გერმანიისა და ნორვეგიის ბრძოლაში ჩარეულიყო, ავსტრიის ნაკრები გახლდათ.

გუნდური პირველობის პირველი ნაწილი - ტრამპლინიდან ხტომა გერმანიის ნაკრებმა მოიგო. შესაბამისად, ეს გუნდი ესტაფეტის (4x5 კილომეტრი) სტარტზე პირველი გავიდა. შვიდწამიანი ჩამორჩენა ჰქონდა ლიდერთან ავსტრიას, ნორვეგია კი დისტანციას 25-წამიანი დაგვიანებით იწყებდა.

შესაძლოა, გერმანიას მოეგო ეს ესტაფეტა, თავისი ვარსკვლავი **ერიკ ფრენცელი** ჯანმრთელი რომ ჰყოლოდა. მსოფლიოს თასის ლიდერი მაინც გავიდა ტრასაზე, მაგრამ მას მალე ამოუდგნენ მხარში ავსტრიელი და ნორვეგიელი კონკურენტები. ესტაფეტის პირველი სამი ეტაპი ამ სამმა ქვეყანამ ერთად იარა. ბოლო ეტაპზე ესტაფეტა ნორვეგიელმა **იორგენ გრობაკმა**, გერმანელმა **ფაბიან რისლემ** და ავსტრიელმა **მარიო შტეხერმა** გადაიბარეს. ამ ტრიოში უპირატესობა გრობაკს ენიჭებოდა, რომელსაც სოჭში უკვე მოგებული ჰქონდა ერთი ინდივიდუალური სტარტი. საბოლოოდ, მან სამი მეათედი წამით აჯობა რისლეს, ავსტრია კი სამწამიანი ჩამორჩენით მესამე მივიდა ფინიშთან.

## ფრისტაილი

# სამი მედალი საფრანგეთისთვის

გუშინ, სოჭის ოლიმპიადაზე კიდევ ერთხელ დაფიქსირდა ისეთი შემთხვევა, როცა პოდიუმი მთლიანად ერთი ქვეყნის წარმომადგენლებმა დაიპყრეს. აქამდე ასეთ რამეს ჰოლანდიელი მოციგურავეები აკეთებდნენ (მათ სოჭში ოთხი ჰეთ-თრიკი ჰქონდათ), გუშინ კი ფრისტაილის დისციპლინა სკი-კროსში სამივე მედალი ფრანგებმა დაისაკუთრეს.

ისინი სტარტის წინ არც მალავდნენ, რომ გუნდური ტაქტიკის გამოყენებას აპირებდნენ სამი მედლის მისალებად. გეგმის განხორციელება მათ კარგად გამოუვიდათ.

დიდ ფინალში ფრანგების მეტოქე იყო კანადელი **ლემანი**, რომელსაც ცუდი სტარტი გამოუვიდა და ეს ფატალური შეცდომა აღმოჩნდა. ამის შემდეგ, **შაპუი** და **ბოვოლენტა** უბრალოდ არ უშვებდნენ წინ კანადელს და პირველი შესაძლებლობისთანავე უკეტავდნენ მას დერეფანს. ბოლოს და ბოლოს, ამით ისარგებლა მესამე ფრანგმა **ჯონათან მიდოლმა**, რომელმაც ბოლო მოსახვევში გაუსწრო ლემანს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ოქროს მედალი შაპუიმ მოიგო, რომელიც მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონიცაა, მეორეზე გავიდა ბოვოლენტა.



ფრანგული პოდიუმი



მედი ბოუმენი

# დამაჯერებელი ამერიკელი

გუშინ, ფრისტაილში მედლების კიდევ ერთი კომპლექტი გათამაშდა, კერძოდ, ქალებს შორის სკი-ჰაფპაიპში. აქ კვალიფიკაციაში არც ისე დამაჯერებელი გამოსვლა აჩვენა ამერიკელმა **მედი ბოუმენმა**, რომელიც ჩამორჩა ფრანგ **მარი მარტინოს**.

როგორც ჩანს, ამან ბოუმენის თავმოყვარეობაზე ძალიან იმოქმედა და ამერიკელმა ბრწყინვალედ წარმართა ფინალური სესია. მან ორივე ცდაზე საუკეთესო შედეგი აჩვენა: 85 ქულა პირველი გამოსვლისთვის და ოთხით მეტი - მეორისთვის.

რეალურად, ბოუმენს წინააღმდეგობას მხოლოდ მარი მარტინო უწევდა, მაგრამ მეორე ცდაზე მან ვერ შეასრულა ისეთი სირთულის ნახტომი, რომელიც ამერიკელის დამარცხების საშუალებას მისცემდა. თუმცა ვერცხლიც შესანიშნავი მიღწევაა ფრანგისთვის.

ბრინჯაო ერგო იაპონელ **აინა ონოზუკეს**, რომელიც ასევე სტაბილური იყო ორივე ცდაზე და შეძლო მეორე გამოსვლისას საკუთარი შედეგის გაუმჯობესება.

## ქიორლინგი

# შვედეთი ადრე დანებდა

ქიორლინგი, ტრადიციულად, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სახეობაა კანადაში. ეროვნული ჩემპიონატის მატჩები ანშლაგებით მიმდინარეობს და ნაკრების თამაშებსაც მსხვილ ტურნირებზე უდიდესი ტელერეიტინგები მოაქვს.

ფინალის წინ ფავორიტი სწორედ კანადის ნაკრები იყო. მიუხედავად ამისა, პირველ სამ ენდში თანაბარი ბრძოლა წარიმართა. კანადამ პირველმა ინიციატივა მეოთხე ენდში მოიპოვა, როცა ორი ქვა მოიგო, მაგრამ მომდევნო მონაკვეთში შვედეთმა აღადგინა თანაფარდობა.

მატჩის ბედი მერვე და მეცხრე ენდებში გადაწყდა, რომელმაც ნერვულ ბრძოლაში ჩაიარა. კანადამ ჯერ ბოლო ქვით მოიგო მატჩის მერვე ნაწილი, შემდეგ კი ორი ქულა მოიპოვა და შვედეთმა ვადაზე ადრე, მეცხრე ენდში შეწყვიტა ბრძოლა.




| მე-3 ადგილისთვის | |
|---|---|
| ბრიტანეთი-შვეიცარია | 6:5 |

| ფინალი | |
|---|---|
| კანადა-შვედეთი | 6:3 |

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| ევროპის ლიგა | |
| 1/16 ფინალი. I მატჩები | |
| ანჟი-გენკი | 0:0 |
| ჩერნომორეცი-ლიონი | 0:0 |
| დნიპრო-ტოტენჰემი | 1:0 |
| დინამო (კ)-ვალენსია | 0:2 |
| ესბერგი-ფიორენტინა | 1:3 |
| იუვენტუსი-ტრაბზონი | 2:0 |
| ლიბერეცი-ალკმაარი | 0:1 |
| პაოკ-ბენფიკა | 0:1 |
| აიაქსი-ზალცბურგი | 0:3 |
| პორტუ-აინტრახტი | 2:2 |
| ლაციო-ლუდოგორეცი | 0:1 |
| მაკაბი (თ-ა)-ბაზელი | 0:0 |
| მარიბორი-სევილია | 2:2 |
| ბეტისი-რუბინი | 1:1 |
| სუონსი-ნაპოლი | 0:0 |
| პლზენი-შახტარი | 1:1 |
| ამხანაგური მატჩები | |
| ჩანგჩუნი-ურალი | 2:4 |
| ოლესუნდი-სიოგნდალი | 0:1 |
| ჰალმსტადი-ატვიდაბერგი | 0:1 |
| სტრიომსგოდსეტი-ვიდეოტონი | 2:3 |
| რაუფოსი-ლილესტრიომი | 2:4 |
| სტარტი-ბრანი | 1:2 |
| ფინეთის თასი | |
| ვაკპ-ტპვ | 0:7 |
| ფინეთი | |
| ლიგის თასი | |
| ჰიკ-ჰონკა | 3:3 |
| თურქეთი | |
| II დივიზიონი | |
| 1461 ტრაბზონი-ბალიქესირი | 1:2 |
| ბბ გაზიანთეფი-სამსუნი | 0:1 |
| არგენტინა | |
| ბელგრანო-ნიუელსი | 1:1 |
| ირანი | |
| მეს ქერმანი-სეპაჰანი | 0:0 |
| ტერაქტორი-რაჰ აჰანი | 0:3 |
| ჰოკეი | |
| ჩეხეთი | |
| ვიტკოვიცე-სლავია | 3:2 (ო) |

| სლოვაკეთი | |
|---|---|
| ჟილინა-სკალიცა | 3:5 |
| მარტინი-ნიტრა | 0:5 |
| ბისტრიცა-კოშიცე | 2:6 |
| ტრენჩინი-პოპრადი | 3:0 |
| პიეშტანი-ზვოლენი | 3:2 |
| კალათბურთი | |
| ევროლიგა | |
| კახა ლაბორალი-ბარსელონა | 68:80 |
| მილანი-უნიკახა | 70:59 |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 66:62 |
| პარტიზანი-გალათასარაი | 70:78 |
| ხელბურთი | |
| ჩემპიონთა ლიგა | |
| რაინ ნეკარი-სელიე | 35:25 |
| და რიოხა-დროტი | 38:34 |
| ჩოგბურთი | |
| ATP. დელრეი ბიჩი | |
| ჩილიჩი-ჰარისონი | 6:3, 6:4 |
| ნიშიკორი-გაბაშვილი | 2:6, 0:6 |
| ATP. მარსელი | |
| როჟე ვასელენი-სტახოვსკი | 7:6, 6:4 |
| მაუ-ბერანკისი | 7:6, 6:3 |
| დოდიგი-კამკე | 6:7, 6:0, 6:3 |
| ბენეტო-შტრუფი | 6:4, 6:7, 3:6 |
| გულბისი-ბაუტისტა აგუტი | 6:3, 5:7, 6:4 |
| ლოდრა-სეპი | 7:6, 6:4 |
| ATP. რიო დე ჟანეირო | |
| დოლგოპოლოვი-ბანისი | 6:7, 6:2, 7:6 |
| ფონინი-კუევასი | 7:6, 4:6, 6:3 |
| WTA. დუბაი | |
| ვ. უილიამსი-პენეტა | 6:3, 7:5 |
| ვოზნიაცკი-კირსტეა | 6:1, 6:2 |
| ს. უილიამსი-იანკოვიჩი | 6:2, 6:2 |
| სუარეს ნავარო-კორნე | 5:7, 3:6 |
| WTA. რიო დე ჟანეირო | |
| ნარა-ფრიდსამი | 6:0, 7:6 |
| სეპედე როიგი-ბეგუ | 3:6, 7:5, 1:6 |
| სხეპერსი-დომინგეს ლინო | 6:2, 6:7, 1:6 |

## ჰოკეი

# და მაინც კანადა!

ჰოკეის ქალთა ტურნირს დრამატული დასასრული ჰქონდა. აშშ-ის ნაკრები ახლოს იყო კანადელთა ჰეგემონიის დამხობასთან. ეს გუნდი ფინალურ მატჩს 2:0-ს იგებდა და ძირითადი დროის დასრულებამდე სამწუთ-ნახევარი რჩებოდა. და სწორედ აქ შეძლო სასწაულის მოხდენა მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა. კანადელებმა ჯერ შეამცირეს სხვაობა, შემდეგ კი მეკარე წინა ხაზის მეექვსე მოთამაშით შეცვალეს და ანგარიში გაათანაბრეს.

დაინიშნა ოვერტაიმი, რომელიც რვა წუთი გაგრძელდა და კანადას გამარჯვება მოუტანა **პულენმა**, ვინც ძირითად დროში აღადგინა თანაფარდობა.

| მე-3 ადგილისთვის | |
|---|---|
| შვეიცარია-შვედეთი | 4:3 |

0:1, 0:1, 4:1

**გოლები**: 0:1 ლევენჰელმი (ლინდი, ესტბერგი), 0:2 უ. იოჰანსონი (ესტბერგი, ლინდი), 1:2 ბენცი (ფორსტერი), 2:2 შტანცი (მიულერი), 3:2 ლუცი (შტალდერი, ბენცი), 4:2 მიულერი, 4:3 ვინბერგი (ასერჰოლტი, გრამი).

| ფინალი | |
|---|---|
| კანადა-აშშ | 3:2 (ო) |

0:0, 0:1, 2:1, 1:0

**გოლები**: 0:1 დაგანი (ჯ. ლამურე), 0:2 კარპენტერი (ნაითი, სტეკი), 1:2 ჯენერი (მიკელსონი, ლაროკი), 2:2 პულენი (ჯონსტონი, ირვინი), 3:2 პულენი (ფორტინო).



ალექსანდრ ოვეჩკინი

# ინფარქტი ნაგების შემდეგ

ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბ „ვაშინგტონ კეპიტლაზის" პრესატაშემ **მაიკ ვოგელმა** ჟურნალისტებს აცნობა კლუბის ვარსკვლავის ალექსანდ ოვეჩკინის ოჯახში წარმოქმნილ სერიოზულ პრობლემებზე.

რუსეთისა და ფინეთის მეოთხედფინალური მატჩის (1:3) შემდეგ, ინფარქტით საავადმყოფოში მოათავსეს რუსი ფორვარდი მამა **მიხაილ ოვეჩკინი**. მას სასწრაფოდ ოპერაცია ჩაუტარდა და ახლა უფროსი ოვეჩკინის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სწორედ ამ მიზეზით არ გაფრინდა ოვეჩკინი ამერიკაში. ჯერჯერობით უცნობია, როდის შეუერთდება ფორვარდი „ვაშინგტონს".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისტორიები სოჭიდან

**უცხოური გაზეთები კვლავაც საინტერესო ისტორიებს გვთავაზობენ სოჭის ოლიმპიადის გარშემო: თამაშების მონაწილეთა შეშფოთებული მშობლები, პუტინის ერთი საუზმისთვის აშენებული კაფე და სხვა...**

## BBC

სოჭის ოლიმპიურ ტრასებზე რამდენიმე უბედური შემთხვევა მოხდა. რუსი ფრისტაილისტი **მარია კომისაროვა** სკი-კროსის ვარჯიშის დროს ხერხემალში გადატყდა; ბულგარელი სამთო მოთხილამურე **სტეფან პრისადოვი** ტრასიდან სპეციალური ციგებით იქნა ევაკუირებული; ნორვეგიელი სნოუბორდისტი **ტორსტეინ ჰომგო** ტურნირს გამოეთიშა მოტეხილობებითა და ტვინის შერყევით. ამ და სხვა შემთხვევების გამო, BBC-მ გადაწყვიტა გამოეკითხა ექსტრემალ სპორტსმენთა მშობლების აზრი მათი შვილების გატაცებაზე.



**ანდრეა მანკუზო,** სამთო თხილამურებში ოლიმპიური ჩემპიონის **ჯულია მანკუზოს** დედა: *„დარწმუნებული ვარ, რომ მღელვარება - არაპროდუქტიული ემოციაა. ჯულიამ თავისთვის ასეთი ცხოვრება აირჩია და საკუთარი მდგომარეობა ინფარქტამდეც რომ მივიყვანო - ეს მაინც არაფერს შეცვლის. გარდა ამისა, ვიცი როგორ მიდიოდა ის ამ სიჩქარეებამდე: ჯერ იყო მარტივი დაშვებები, მცირე სიჩქარე, ბევრი ვარჯიში. მე მის გამოცდილებას ვენდობი“.*

სიუზ ფარინგტონი, ჰაფპაიპში ოლიმპიური ჩემპიონის **კეიტლინ ფარინგტონის** დედა: *„თავიდან მას ვეუბნებოდი, რომ არასოდეს წავიდოდი ამ საგიჟეთის ცოცხლად სანახავად. მაგრამ მივხვდი, რომ უშუალოდ არენაზე უფრო მიადვილდებოდა ყველაფრის გადატანა. იმ წუთებში, როცა ის ტრასაზეა, მე მკვდარი ვარ“.*

## ESPN

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი რუსული პანკ-ჯგუფ Pussy Riot-ის აქციების წინააღმდეგ გამოვიდა, რომელიც სოჭის ოლიმპიადის სიახლოვეს იმართებოდა. სოკ-ის პრესმდივანმა **მარკ ადამსმა** ამ დღეებში განაცხადა, რომ ოლიმპიური ობიექტები საუკეთესო ადგილი არ არის პოლიტიკური დემონსტრაციებისთვის. ადამსის განცხადება მას შემდეგ გაჟღერდა, რაც Pussy Riot-ის ორი წევრი რუსეთის პოლიციამ სოჭში დააკავა. გოგონები მოუწოდებდნენ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ, გარდა ამისა, საკუთარი აქციებით მათ მსოფლიოს ყურადღების მიპყრობა სურდათ რუსეთის პრეზიდენტის პოლიტიკის მიმართ.



პუტინი და ოლიმპიური ჩინოვნიკები

ამასობაში, **ვლადიმერ პუტინისთვის** სოჭში კაფე ააშენეს... მხოლოდ ერთი საუზმისთვის. გასულ კვირას, სოჭის სანაპიროზე მოულოდნელად მშენებლობა დაიწყო. ამან ალაშფოთა ადგილობრივი მოსახლეობა, რადგან განადგურების საფრთხე დაემუქრა იქაურ გამწვანებას. როცა მუშებს ჰკითხეს - რა შენდებოდა სანაპიროზე - ასეთი პასუხი მიიღეს: სცენა ოლიმპიური ღონისძიებებისა და კონკურსებისთვის. მაგრამ მალე პრესამ გაავრცელა რეპორტაჟები, სადაც ახალშენებულ კაფეში პრეზიდენტი პუტინი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელებს მასპინძლობდა. იმ დღის შემდეგ, პრეზიდენტი იქ აღარ გამოჩენილა.

## Washington Post

ამერიკული გაზეთის საკუთარმა კორესპონდენტმა **რიკ მაესემ** თავის ინსტაგრამზე გამოაქვეყნა ფოტოები, რომელზეც რუსული ლუდის ორი ქილაა გამოსახული. ჟურნალისტმა ის ოლიმპიური სოჭის ერთ-ერთ მაღაზიაში შეიძინა. ქილაზე გამოსახულია ყოვლად იდიოტური სცენა: გაღიმებული რუსი ჰოკეისტი გალანტურად ეხმარება თასმების გახსნაში კანადის ჰოკეის ნაკრების მხარდამჭერი ჯგუფის ერთ-ერთ გოგონას. თავად კანადელი ჰოკეისტები კი მოშორებით დგანან და ჩუმად უცქერენ მომხდარს.

*„ქილაზე გამოსახულია რუსი ჰოკეისტი, რომელმაც ცოტა ხნის წინ დაამარცხა კანადის ნაკრები და ახლა, კანადელებისთვის გოგონას წართმევასაც აპირებს. რაც შეეხება ლუდს, ვფიქრობ, მას თბილი შარდის გემო და ჟანგიანი წყლის ფერი აქვს. არაფერი სჯობს ნამდვილ ამერიკულ და კანადურ ლუდს“,* - დაწერა მაესემ.

# უკრაინა სოჭში რჩება

უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ოფიციალური განცხადებით გამოვიდა, რომელშიც კომენტარი გაუკეთა უკრაინული დელეგაციის მიერ სოჭის დატოვების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას.

განცხადებაში წერია, რომ სპორტსმენები, რომლებსაც ჯერ ისევ წინ აქვთ ზამთრის თამაშებზე გამოსვლა, ოლიმპიურ სოფელში რჩებიან. ათლეტები, რომლებმაც უკვე დაასრულეს გამოსვლა, წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით ბრუნდებიან უკრაინაში.

განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი იყო სამთო მოთხილამურე **ბოგდანა მაცეცკაიას** მიმართ, რომელიც წინადღეს მკვეთრი განცხადებით გამოვიდა და 21 თებერვალს დანიშნულ სლალომში გამოსვლაზე უარი განაცხადა. იტყობინებიან, რომ გუშინ გაიმართა **სერგეი ბუბკასა** და სპორტსმენის პირადი შეხვედრა, რომლის დროსაც უკრაინის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა მოისმინა ბოგდანას პოზიცია ბოლო მოვლენებთან დაკავშირებით.

*„ბოგდანა მაცეცკაია გაგებით ეკიდება იმ ოლიმპიელების პოზიციას, რომლებიც აგრძელებენ გამოსვლას. ის დარჩება სოჭში ოლიმპიადის დასრულებამდე და უგულშემატკივრებს ყველა უკრაინელ სპორტსმენს, განსაკუთრებით კი ქალ ბიატლონისტთა ნაკრებს, რომელსაც გამარჯვებას ვუსურვებთ მთელი უკრაინელი ხალხის სადიდებლად“,* - წერია განცხადებაში.

*„ყველანი ძალიან აღელვებულნი ვართ უკრაინის ტრაგიკული მოვლენებით. გულთან ახლოს მიგვაქვს ეს ამბავი. ვიზიარებ აზრს იმის შესახებ, რომ ის სპორტსმენები, რომლებიც უკრაინას წარმოადგენენ თამაშებზე, ამ რთულ პერიოდში ერთიანობის მნიშვნელოვან მისიას ახორციელებენ“,* - განაცხადა სერგეი ბუბკამ.

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში ვწერდით იმის შესახებ, რომ სათხილამურო რბოლაში ქალთა გუნდური სპრინტის სტარტზე არ გავიდნენ უკრაინელები - **მარინა ლისოგორი და კატერინა სერდიუკი**. პირველი ვერსიით, სპორტსმენებმა ასეთი საქციელით სოლიდარობა გამოხატეს უკრაინელი ხალხის მიმართ, მაგრამ შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტრასაზე გაუსვლელობის მიზეზი მხოლოდ სერდიუკის ტრავმა იყო.

და აი, გუშინ ლისოგორისა და სერდიუკის გადაწყვეტილების ოფიციალური მიზეზი გახდა ცნობილი. მოთხილამურეებს შავი სამკლავურებით სურდათ სტარტზე გასვლა, რითაც პატივს მიაგებდნენ კიევის მოვლენებისას დაღუპულების ხსოვნას, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა არ დართო ამის ნება. სწორედ აქედან მომდინარეობდა უკრაინელთა პროტესტი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



უკრაინელი ოლიმპიელები

არ გამოგრჩეთ თებერვლის ნომერი!




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:10 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია); 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608